# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფუქილობით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 27 დეკემბერი. 2023 წ. №146 (9678) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


*ჩვენი მეკვლე ლეგენდა*



## გოლიათი, რომლის ზღვარი რეკორდებზე გადის

⑩



## ბუნებრივი რესურსები ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში

ექსკლუზიური ინტერვიუ ზურაბ ლომსაძესთან

**– ბატონო ზურაბ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 2011 წლიდან ხელმძღვანელობთ სტუ-ის ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრს, რომელსაც ახლახან დაარსებიდან 45 წელი შეუსრულდა. გილოცავთ თქვენ და ცენტრის კოლექტივს ღირსსახსოვარ იუბილეს! გთხოვთ, გვითხრათ, როგორ შეხვდით ამ მნიშვნელოვან თარიღს** ?

– ცენტრის კოლექტივის სახელით მადლობას გიხდით მოლოცვისთვის... სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება 1978 წელს დაარსდა **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან,** თუმცა საკუთარ 45 წლის იუბილეს საუკუნოვანი ისტორიის მქონე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის** შემადგენლობაში მყოფ საუნივერსიტეტო დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სახით შეხვდა. ეს არ გახლავთ შემთხვევითი, რადგან ცენტრი საინჟინრო-ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო დაწესებულებაა, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – საინჟინრო განათლების უმთავრესი კერაა ქვეყანაში.

ცენტრი საბჭოთა სისტემაში შეიქმნა და ცხადია, მისი მიზნები და ამოცანები იმჟამინდელ გარემოსა და ეპოქის შესატყვისი იყო. საბჭოურ პერიოდში მან 14 წელი იარსება და საკუთარ მისიას პირნათლად გაართვა თავი.

შესრულებულ სამუშაოთაგან აღსანიშნავია: **საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ორი გრძელვადიანი (20-წლიანი პერიოდის) კომპლექსური პროგრამა (1986-2005 წწ. და 1991-2010 წ.წ.),** რომლებშიც წარმოდგენილია ქვეყნის შესაბამისი პერიოდების მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზები და პროგრამები, ასევე ფუნდამენტური ნაშრომი – **„საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალური გამოყენების პრობლემები“** (მონოგრაფია რუსულ ენაზე, 1991 წ., 702 გვ.), რომელიც დღემდე ე.წ. სამაგიდო წიგნად რჩება საქართველოს ბუნებრივი რესურსების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისა და მკვლევართათვის.

იხ. 5 გვ.

## ჩვენ გაცხადებული გვაქვს სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა...



②

## ვინ (არ) დასაჯეს 2023 წელს პარლამენტში?!



④

## ხმაურისა და სამარცხვინო საქციელის გამო დარბაზიდან გაძევებულნი!..

## ავთანდილ ყურაშვილი: მარადის ცისკენ შეღერილო სიტყვავ და სულო...



შენ, მთოვარეო, დაბურულო მწუხრის მთიებით,
შენ, უსაზღვროო, მოსაზღვრულო ლაჟვარდთა რკალით,
არ მოჩუხჩუხებს შენსკენ ჟამი მონანიეთა,
არ ედინება შენსკენ წამი მონანიების...

ჩაქრა კოცონი, რომ ვერ ზიდა ჩვენი სხეული, —
არ არის ცოდვა, რასაც ხორცის არ ასდის სუნი;
ცას შეჰკანკალებს უკვდავი და უფლისეული,
ბნელს მიჭედილი და მილურსმნული...

ვერ გავინათე უკუნეთი ქერცლით, ქერეჭით,
ეშმით, ურჩხულით, მახვილებით, ორლესულებით;
და მაინც ამ ცეცხლს ეფიცხება მთელი ხმელეთი
დასახლებული საცოდავი ჩვენი სულებით.

შენ, მოძრაობით უმოძრაო და განტოტვილი,
შენ, უნათლესი, ნათლით ნათლის აღმამქცევარი,
რას მიელტვოდი, როს აზილე თიხა ცოდვილი
ან ცა რას ელტვის მოშადრევნე მზის შადრევანით.

რაა თვინიერ ჯოჯოხეთის, ტანჯვის, კირთების,
გარნა უდაბნო, — აღმომხდარი ქარის ხველებით;
თუ გზა-შეღმართი, მარადისი ჯვარის მტვირთველის,
თუ ზღვა მძვინვარე, ცრემლისა და სისხლის ღელენის...

არ წარიხოცო, არ განიპნე, არ წარირეცხო,
არ გარდაქარდე, არ ჩამოჭკნე, არ განესრულო,
მარადის ძელზე გასასმელო, უფალო ღმერთო,
მარადის ცისკენ შეღერილო სიტყვავ და სულო!

იხ. 7 გვ.

## წყალში ჩასაძირად განწირული პატარა ქვეყნები...

⑧

## როგორ გაჩნდა ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია?!



⑨

# ჩვენ გაცხადებული გვაქვს სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა და აქაც ვხელმძღვანელობთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე



## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2023 წლის ანგარიშს აბარებს ქართველ ხალხს

**რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მთავარი საგარეო პოლიტიკის და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის მთავარი მონაპოვარი, ბუნებრივია, არის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ეს არის დიდი გამარჯვება, მათ შორის ჩვენი დიპლომატიური კორპუსის და მე მინდა მადლობა გადავუხადო საგარეო უწყებას პირადად მინისტრს, ჩვენს დიპლომატებს. მნიშვნელოვანი იყო ის პოლიტიკა, რომელიც შემუშავდა 2012 წლიდან დღემდე. ჩვენი პოლიტიკა, ეფუძნება ეროვნულ ინტერესებს. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, ბუნებრივია, ოკუპაციაა და ჩვენი ტერიტორიების მშვიდობიანი დეოკუპაცია არის ჩვენი გაცხადებული მიზანი.**

ჩვენ გვაქვს სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა და აქაც, ვხელმძღვანელობთ სწორედ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მინდა ასევე ვთქვა, რომ ბოლო 10 წელში უმაღლეს დონეზე გადავიდა პარტნიორული ურთიერთობები ჩვენს ევროპელ მეგობრებთან, ევროპის სახელმწიფოებთან. დაფუძნდა ორმხრივი სტრატეგიული თანამშრომლობის მაღალი დონის ფორმატები, მათ შორის საფრანგეთთან, გაერთიანებულ სამეფოსთან, იტალიასთან, პოლონეთთან. ასევე ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან მინდა კიდევ ერთხელ ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს პარტნიორებს მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერისთვის. მინდა ასევე გითხრათ, რომ ბოლო პერიოდში გვქონდა ძალიან წარმატებული საგარეო ვიზიტები. მე პირადად მქონდა 25 საგარეო ვიზიტი, საგარეო საქმეთა მინისტრს – 35. ჩვენ, დაინტერესებული ვართ, რომ რეგიონში დამყარდეს გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილურობა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველო მნიშვნელოვან კონტრიბუციას ახდენს. მინდა აღვნიშნო, რამდენიმე ხნის წინ საქართველოში იმყოფებოდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრები. ჩვენ გვქონდა უნიკალური შესაძლებლობა, რომ სამივე ქვეყნის ხელმძღვანელებს ერთად გაგვემართა შეხვედრა. თურქეთთან, ბუნებრივია, ჩვენ ვინარჩუნებთ მაღალი დონის სტრატეგიულ პარტნიორობას და თანამშრომლობას. ასევე მნიშვნელოვანი იყო, ვიტყოდი ისტორიული მნიშვნელობის იყო ჩემი ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც მე გავემგზავრე ჩინეთის პრეზიდენტის მიწვევით და შევთანხმდით და გავაფორმეთ ერთობლივი დეკლარაცია, შედეგად სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე აწიონ ურთიერთობა, თანამშრომლობა. ჩინეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოა ჩვენთვის. ამ მიზნის შემადგენელი ნაწილი იყო ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ ჩინეთის მოქალაქეებისთვის შემოვიღეთ უვიზო რეჟიმი.

ინტენსიური დინამიკით გამოირჩევა საქართველოს ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის და ყურის ქვეყნებთან. გვქონდა ძალიან საინტერესო, წარმატებული შეხვედრა საუდის არაბეთში შარშან, ასევე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ისრაელში. მნიშვნელოვანი იყო, ზოგადად, არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის გაფორმება, რაც ახალი შესაძლებლობა არის ჩვენი ბიზნესისთვის, მეწარმეებისთვის.

შარშან გადმოგვეცა ჩვენ იორდანიის სამეფოში 4000 კვ/მ მიწის ნაკვეთი, სადაც ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობა. პროექტი ხორციელდება მისი უწმინდესობის, პატრიარქის კურთხევით და ჩვენ ეს პროექტი უკვე დავასრულეთ. ახლა მიმდინარეობს, მშენებელი კომპანიის შერჩევა და ჩვენი სურვილია 2024 წელს დავიწყოთ აღნიშნული კულტურის ცენტრის მშენებლობა. უნდა ითქვას, რომ 300 წლის შემდეგ საქართველო ბრუნდება წმინდა მიწაზე. ეს არის ძირითადი მიღწევები საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.

* * *

**ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ მუშაობა დიასპორის მიმართულებით მსოფლიოში 350 ქართული დიასპორული ორგანიზაცია მოქმედებს, 2012 წლამდე იყო 140 ორგანიზაცია.**

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი არის მშვიდობიანი პოლიტიკის შენარჩუნება და აქვე მინდა შევეხო შერიგების პოლიტიკას, რომელიც „ქართული ოცნების" გაცხადებული პოლიტიკაა. ჩვენი გაცხადებული მიზანი არის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაცია მშვიდობიანი გზით. ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი, ხელშესახები პროექტები და პროგრამები დავაფინანსეთ ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ საოკუპაციო ხაზის მიღმა. ასევე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ყველა ამ პროექტს თუ პროგრამას ყოველგვარი ზედმეტი აფიშირების გარეშე ვახორციელებთ შეგნებულად, მიზანმიმართულად, სახელმწიფო გააგრძელებს ასეთი პროგრამების ხელშეწყობას. მინდა ინფორმაციისთვის გაგიზიაროთ კონკრეტული მონაცემი, რომ სახელმწიფომ უმკურნალა 1500-ამდე პაციენტს, იგივე ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც გადმოვიდნენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ჩვენ ასევე მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ რუხის საავადმყოფოს, აქ შეიქმნა მრავალპროფილური სამედიცინო სერვისი, 14-ზე მეტი მიმართულებით ვაწვდით ჩვენ სამედიცინო სერვისებს. 1400-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო სწორედ ამ საავადმყოფოში უფასო სამედიცინო მომსახურება.

ჩვენ ვეხმარებით ასევე სტუდენტებს, რომლებიც უგამოცდოდ ირიცხებიან საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში. რა თქმა უნდა, ჩვენი მადლიერება მინდა გამოვხატო კიდევ ერთხელ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიმართ, რომელთა დახმარების შედეგად განხორციელდა კონფლიქტის დროს დაღუპული 58 პირის ნეშტის იდენტიფიცირება და ოჯახებისთვის დაბრუნება. ასე ვთქვათ, 4-წლიანი პაუზის შემდეგ განახლდა ქართულ-აფხაზური თანამშრომლობა ჰუმანიტარული საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი არის ჟენევის ფორმატის შენარჩუნება, აქაც მინდა მადლიერება გამოვხატო ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების მიმართ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ჟენევის ფორმატში.

* * *

**ახლა რაც შეეხება, ციხეებში არსებულ მდგომარეობას, კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს რამდენად აუტანელი იყო ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა ციხეებში. სისტემური იყო ეს დანაშაული, სისტემური იყო წამება, არაადამიანური მოპყრობა, გაუპატიურება და ა.შ. ადამიანის მკვლელობა ხდებოდა პირდაპირ ციხეებში, ათეულობით ადამიანი კვდებოდა, კლავდნენ პირდაპირ უნდა ითქვას ციხეებში.**

2012 წლის შემდეგ, არაერთმა მინისტრმა, და ყველა მინისტრს მინდა მადლობა გადავუხადო, ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა პენიტენციურ დაწესებულებაში. შედეგად გაუმჯობესდა პატიმართა საცხოვრებელი პირობები, მსჯავრდებულთა დასაქმებაში, დაფუძნდა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრები, მათ შორის ამოქმედდა ციფრული უნივერსიტეტი და ძალიან ბევრი, კარგი ჰუმანური, ასე ვთქვათ, გადაწყვეტილება იქნა მიღებული ჩვენი მთავრობისა და მინისტრების მიერ.

წელს მიღებულ იქნა ახალი პენიტენციური კოდექსი, რომელთა მიზნები არის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის გარანტიების კიდევ უფრო მეტად გამყარება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პენიტენციური სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესება, თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიების გაფართოება და ამდენად ერთ ათწლეულში საქართველოს პენიტენციურ სისტემაში რადიკალური გარდატეხა მოხდა.

რაც შეეხება იუსტიციის სახლებს, აქაც ძალიან მოკლედ გეტყვით, რომ ჩვენ 2012 წელს დაგვხვდა 12 იუსტიციის სახლი. 110 მილიონ ლარზე მეტი არის დახარჯული დღეისათვის და ფილიალების რაოდენობა 118-ამდე არის გაზრდილი, მათ შორის იუსტიციის სახლები გაიხსნა სამ პენიტენციურ დაწესებულებაში, რაც ინოვაციაა და მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. გაისად ყველა მუნიციპალიტეტში იქნება იუსტიციის ახალი სახლი და, რა თქმა უნდა, დაფარავს მთელ საქართველოს.

მნიშვნელოვანი იყო მობილური იუსტიციის სახლის პროექტი. 470-ზე მეტი სერვისით სარგებლობა თანაბრად ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობისთვის, მათ შორის – მაღალმთიან სოფლებში.

* * *

**და ბოლოს, მეგობრებო, მე მინდა ეს ყველაფერი, რაზეც ახლა ვისაუბრე, შევაჯამო იმ რეიტინგებით, იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგებით, რომლებიც ობიექტურად ასახავს საქართველოს წინსვლას და გლობალური პოზიციონირების გაუმჯობესებას.**

დავიწყებ იმით, რომ ორგანიზაცია „დემოკრატიის მრავალფეროვნების" წლევანდელ „დემოკრატიის ანგარიშში" დემოკრატიზაციის 10-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოს 179 ქვეყანაში საუკეთესო ათეულშია. ეს არის 11-წლიანი მუშაობის შედეგი. თითქმის 180 ქვეყანაში საუკეთესო ათეულში მოხვდა ქვეყანა დემოკრატიზაციის ანგარიშში.

„World Justice Project"-ის მიხედვით, „კანონის უზენაესობის ინდექსში" საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზე არის, საშუალოშემოსავლიან ქვეყნებს შორის მე-6 ადგილს იკავებს.

მინდა ასევე ვთქვა, რომ ისეთ ინდექსებში, როგორიც არის კორუფციისგან თავისუფლება, საქართველო მსოფლიოში 33-ე ადგილზე გავიდა წელს, ევროპის საუკეთესო ოცეულში მოხვდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველი ადგილი დაიკავა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის" თანახმად, რომელიც მსოფლიო ბანკმა „გლობალური მმართველობის ინდიკატორების" პროექტის ფარგლებში გამოაქვეყნა, საქართველო უსწრებს ევროკავშირის და ნატოს წევრ მრავალ სახელმწიფოს. კორუფციის კონტროლის რეიტინგში საქართველო მსოფლიოში მე-20, ევროპაში მე-11 პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მე-2 ადგილზეა.

ამავე, ანგარიშის თანახმად, ევროპის კანონის უზენაესობის რეიტინგში საქართველო მსოფლიოში 29-ე, ევროპაში მე-14 ადგილზეა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მე-3 ადგილზეა;

რეგულაციების ხარისხით საქართველო ეკონომიკებს შორის მე-7 ადგილზე, ხოლო სახელმწიფოებს შორის მე-9 ადგილზეა.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის „Transparency International" მიერ 2022 წელს გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსში", მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის საქართველო 41-ე ადგილზეა და რეგიონში ლიდერია.

ასევე მინდა ვთქვა, რომ ევროპის ანტიკორუფციული და სახელმწიფო აღმშენებლობის კვლევის ცენტრის (ERCAS) მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის „გამჭვირვალობა ომიანობის ჟამს" მიხედვით, საქართველო მე-17 ადგილს იკავებს წლევანდელ „გამჭვირვალობის ინდექსში" და უსწრებს ევროკავშირის 15 წევრ სახელმწიფოს და დიდი შვიდეულის 4 ქვეყანას.

„Fraser Institute"-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, ცნობილი ინსტიტუტი, „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება" საქართველო 165 ქვეყანას შორის 25-ე ადგილს იკავებს და მსოფლიოს ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს შორისაა.

„Freedom House" მიერ გამოქვეყნებული „ინტერნეტის თავისუფლების ინდექსის" თანახმად, საქართველოს 100-იდან 76 ქულა მიენიჭა და „თავისუფალი ქვეყნების" სიაში მსოფლიოს 70 ქვეყანას შორის მე-9 ადგილზეა.

ასევე მინდა ვთქვა, რომ სავალუტო ფონდის 2022-2028 წლების განახლებული შეფასებისა და გრძელვადიანი პროგნოზების თანახმად, საქართველო მსოფლიოში მეორე, ხოლო აღმოსავლეთ ნახევარსფეროში პირველ ადგილზე გავიდა შემდეგი მაჩვენებლებით: 2022-2028 წლებში ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ის ზრდა; ასევე მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური ეკონომიკის ზრდის ტემპი და მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდის ტემპი მუდმივ ფასებში.

მსოფლიოს მოწინავე შვეიცარულმა ანალიტიკურმა ცენტრმა – Global Risk Profile-მა – „გლობალური კორუფციის ინდექსი 2023" გამოაქვეყნა. საქართველო 2 ადგილით დაწინაურდა, მსოფლიოს თითქმის 200 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საუკეთესო 25%-ში, 43-ე ადგილზე; შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში კი, რა თქმა უნდა, პირველ ადგილზე გავიდა „კორუფციის დაბალი დონის" მიხედვით.

ღია ბიუჯეტის ინდექსის მიხედვით, 10 წლის წინანდელი საქართველო შეზღუდული გამჭვირვალობის მქონე ქვეყნებს შორის იყო. შეზღუდული გამჭვირვალობის მქონე ქვეყანა იყო საქართველო 10 წლის წინ. ხოლო 2022 წელს კი „ღია ბიუჯეტის ინდექსით" საქართველომ მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით. აი ეს არის რეალური პროგრესი.

მმართველობის ხარისხით საქართველო გამოირჩევა არამხოლოდ რეგიონში, არამედ ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის და მეტიც, რიგ ინდიკატორებში უსწრებს ევროკავშირის 10-ზე მეტ წევრ და 8-ვე კანდიდატ ქვეყანას. მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების მიხედვით, რეგულირების ხარისხით საქართველო უსწრებს ევროკავშირის 13 ქვეყანას და ყველა კანდიდატ ქვეყანას.

კორუფციის კონტროლის ინდიკატორში საქართველო უსწრებს ევროკავშირის 10 ქვეყანას და ყველა კანდიდატ ქვეყანას, მთავრობის ეფექტურობის ინდიკატორში საქართველო უსწრებს ევროკავშირის 8 ქვეყანას და 8-ვე კანდიდატ ქვეყანას.

ეს არის შედეგი, რომელსაც ჩვენმა ხელისუფლებამ მიაღწია ბოლო 11 წლის განმავლობაში. კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო მინისტრთა კაბინეტს, მთავრობის თითოეულ წევს, ყველა საჯარო მოხელეს.

მინდა გავიმეორო ის სიტყვები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ ვთქვი:

**საქართველო ევროპული სახელმწიფო გახდა. ეს პროცესი არის შეუქცევადი. ახლა საჭირო არის კიდევ უფრო მეტი მონდომებით, მეტი მოტივაციით, მეტი საქმის კეთებით, იმისთვის, რომ ქვეყანა გახდეს რეალურად ევროპული სახელმწიფო და, რაც მთავარია, ჩვენი მთავარი ოცნება ავიხდინოთ, ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია, ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და რეალურ წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.**

**დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებულ წელს, ჯანმრთელობას და მშვიდობას! დიდი მადლობა!**

დასასრული. დასაწყისი იხ. №143-145

# ...ამითაც ვართ ვალაუვალი მოვალენი პატრიარქის წინაშე

საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ჩვენი ქვეყნისა და მისი მეწინავე გუნდის უცილობელი გამარჯვებაა. შევხარი ამ მონაპოვარს მთელ მშვიდობისმოყვარე მოსახლეობასთან ერთად. ამასთან, კუთვნილ პატივს მივაგებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია II-ს დაუცხრომელი მშვიდობისმყოფელი მოღვაწეობის გამო. იმედსა და რწმენას ჩაგვაგონებს ის და გვასულდგმულებს ღვთის მადლით ყოველ მორიგ გამარჯვებამდე. ამჯერადაც ასეა. ამითაც ვართ ვალაუვალი მოვალენი ღვთისა და პატრიარქის წინაშე.

გულმხურვალედ ვულოცავ ჩვენს ძვირფას პატრიარქს აღსაყდრებიდან 46-ე წლისთავს და დაბადების საიუბილეო თარიღს – 4 იანვარს. ხანგრძლივი და უშფოთველი სიცოცხლე მომადლებოდეს ღვთისგან ჩვენი ხალხის მიერ აღიარებულ სულიერ წინამძღოლს სამშობლოს საკეთილდღეოდ.



კრძალვითა და მოწიწებით,

**მინდია უგრეხელიძე**

25 დეკემბერი, 2023 წელი



## ირაკლი ღარიბაშვილი:

# თითქმის ხუთი ათწლეულია, ილია მეორე ზრუნავს ჩვენს სულიერ ცხოვრებაზე, სამოქალაქო ერთიანობაზე!

მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ აღსაყდრებიდან 46-ე წლისთავს. თითქმის ხუთი ათწლეულია მისი უწმინდესობა სიბრძნითა და სიყვარულით ზრუნავს ჩვენს სულიერ ცხოვრებაზე, სამოქალაქო ერთიანობაზე, ქვეყნის წინსვლაზე, საკუთარი მაგალითით ამკვიდრებს და განამტკიცებს რწმენის, თანამოძმეთა სიყვარულის, ქვეყნისა და ხალხისადმი მსახურების უნივერსალურ ღირებულებებს.

მისი სახელი დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანულ ღირებულებათა დაბრუნებასთან; დედაეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებასთან; საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრების, სულიერი განათლების აღორძინებასა და მრავალ სხვა სიკეთესთან. ეს უდიდესი ღვაწლი ერთნაირად მნიშვნელოვანი და ძვირფასია ჩვენი მრავალეროვნული ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მქონდა, ოჯახთან ერთად შევხვედროდი მის უწმინდესობას და პირადად მიმელოცა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. დღეგრძელობასა და მხნეობას ვუსურვებ ჩვენს პატრიარქს!

## სალომე ზურაბიშვილი:

# თქვენი ლოცვით, ღირსეულად განვაგრძობთ გზას, განვამტკიცებთ საზოგადოების ერთობას!..

უღრმესი პატივისცემით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, აღსაყდრების 46 წლის იუბილეს, თქვენთან ერთად ვულოცავ თქვენს სამწყსოს, სრულიად საქართველოს.

ეს წლები, რომლებიც თქვენ, როგორც საქართველოს ეკლესიის წინამძღოლმა გამოიარეთ, რთული იყო საქართველოსთვის და ასევე, რთული იყო თქვენთვის, საქართველოს სულიერი მამისთვის. თქვენი ლოცვა და თანადგომა აძლიერებდა და განამტკიცებდა ჩვენს რწმენას, გვანუგეშებდა ძნელბედობისას. დღესაც თქვენი მზრუნველობა სწვდება ყველას, ეროვნებისა და აღმსარებლობის მიუხედავად და შთააგონებს სიკეთისა და სამართლიანობის, მშვიდობისა და პატივისცემის იდეალებს. ერის თქვენდამი სიყვარული, ერთგულება და ნდობა საუკეთესოდ გამოხატავს თქვენს ღვაწლს როგორც ქვეყნის, ისე თითოეული თქვენი სულიერი შვილის ცხოვრებაში.

სრულიად საქართველოს სახელით გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას. დაე, თქვენი ლოცვით დაისადგუროს სიმშვიდემ ჩვენს გულებში, კეთილდღეობამ ჩვენს სახლებში, მშვიდობამ მთელ დედამიწაზე. მრავალი ბედნიერი ახალი წელი ეზეიმოს თქვენი ლოცვითა და მზრუნველობით გაძლიერებულ საქართველოს.



# საქართველოში ქარის 2 და 1 ელექტროსადგური აშენდება, გურიაში კი ეროვნული პარკი შეიქმნება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით 25 დეკემბერს მთავრობის სხდომა გაიმართა.**

**სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე – „ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტის შემუშავების პროცესს საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით კოორდინაციას უწევდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინსტიტუციური დემოკრატიის განმტკიცებას; სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებებით თანაბრად სარგებლობის უზრუნველყოფას; თანასწორობის პოლიტიკის განმტკიცებასა და ოკუპაციის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე ზრუნვას. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებით საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ვალდებულებისადმი ერთგულებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემური და გრძელვადიანი პოლიტიკის თანამიმდევრულად და უწყვეტად წარმართვას.**

მთავრობის წევრებმა ასევე განიხილეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით სერვისის მიმწოდებელი ყველა დაწესებულება ვალდებული იქნება, რეპროდუქციასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ინფორმაცია ერთიან ეროვნულ რეესტრში ასახოს.

ცვლილების მიზანი გამოყენებული ქსოვილების, უჯრედების, ემბრიონების, მათ შესახებ მონაცემებისა და კონტაქტში მყოფი მასალების მიკვლევადობაა. დღეის მდგომარეობით დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით სერვისს 19 დაწესებულება ახორციელებს. სიახლე ძალაში 2024 წლის იანვრიდან შედის. აღსანიშნავია, რომ რეპროდუქციასთან დაკავშირებული საქმიანობის ერთიანი ეროვნული რეესტრის ამოქმედება შეესაბამება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებს.

**სხდომაზე ასევე იმსჯელეს ქარის ორი და მზის ერთი ელექტროსადგურის განვითარებისა და ხელშეწყობის პროექტზე. ქარის ელექტროსადგურთა პროექტებიდან ერთი იმერეთის რეგიონში განხორციელდება, რომლის დადგმული, სავარაუდო სიმძლავრე 103,5 მეგავატია, გამომუშავება კი 362 მლნ კვტ საათს მიაღწევს. პროექტისთვის საჭირო ინვესტიციის რაოდენობა 130 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება ქარის მეორე ელექტროსადგურს, რომლის აშენებაც შიდა ქართლის რეგიონში, ქარელის მუნიციპალიტეტში იგეგმება, მისი დადგმული სიმძლავრე – 43,4 მგვტ, გამომუშავება – 148 მლნ კვტ/სთ, ხოლო ინვესტიციის რაოდენობა 25,25 მლნ აშშ დოლარია.**

**გარდა ამისა, 4,797 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება იმერეთის რეგიონში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში 7,8 მგვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის ასაშენებლად, რომლის სავარაუდო გამომუშავებაც 10,295 მლნ კვტ სთ იქნება.**

ამ ეტაპზე სამივე პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და კვლევების კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები მიმდინარეობს. მთავრობის შეხვედრაზე ასევე განიხილეს და მხარი დაუჭირეს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“ და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებათა პროექტებს, რომელთა მიზანი ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდაა.

აღნიშნული პროექტები თევზჭერის იარაღების რეგულირებას და დადგენილი წესების დარღვევისთვის შესაბამის პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს. ბრაკონიერობასთან ბრძოლა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე ადეკვატური სამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემის შემუშავება ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნების სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

**გარდა ამისა, საუბარი შეეხო „გურიის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს, რომლის თანახმადაც გურიის რეგიონში, ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ახალი დაცული ტერიტორია – გურიის ეროვნული პარკი – შეიქმნება, რომელიც 15 310 ჰა ფართობს მოიცავს. უნიკალური ბუნებრივი ძეგლების დაცვის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ამავდროულად ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო დაცული ტერიტორიების გაფართოების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.**

**ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულთათვის უქმედ 2024 წლის 3 იანვრიდან 5 იანვრის ჩათვლით დღეები განისაზღვრა. ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფ/მის სისტემაში შემავალ სამსახურებს/მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება ეს დადგენილება თუ მათი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას.**

**დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირების წინაშე შესასრულებელ ფინანსურ ვალდებულებებზე, ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.**



**დასჯის ეს მეთოდი საკანონმდებლო ორგანოში 2023 წლის შემოდგომამდე არ გამოუყენებიათ: პარლამენტის თავმჯდომარემ პარლამენტის წევრები სხდომათა დარბაზიდან „სამარცხვინო საქციელისთვის“ გააძევა მას შემდეგ, რაც კულტურის მინისტრის გამოსვლისას 4-მა ქალმა დეპუტატმა, ტრიბუნასთან საპროტესტო ბანერი გაშალა.**

**საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში იშვიათი არ არის ხელჩართული ჩხუბი, სიტყვიერი მუქარა, ერთმანეთის შეურაცხყოფა თუ საპროტესტო პერფორმანსები, თუმცა აღმოჩნდა, რომ მეათე მოწვევის პარლამენტში, დარბაზიდან პარლამენტის თავმჯდომარეს დღემდე მხოლოდ 5 დეპუტატი ჰყავს გაძევებული, ხუთივე ოპოზიციიდან და აქედან ერთი – ორჯერ. პირველად სხდომათა დარბაზი მათ 2023 წლის 20 სექტემბერს დაატოვებინეს. რა მოხდა იმ დღეს განსაკუთრებული?**




# ხმაურისა და სამარცხვინო საქციელის გამო დარბაზიდან გაძევებულნი!..



## „სამარცხვინო საქციელი“

20 სექტემბერს, როდესაც თეა წულუკიანი პარლამენტში კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიღწევებზე საუბრობდა, ოთხმა ოპოზიციონერმა ქალმა დეპუტატმა მისი ტრიბუნის წინ გაშალა „ქართული ოცნების“ „დროშა“ წარწერით, **„რუსულო გემო, იდი ნა ხ.. “**. ეს პასუხი, რომელიც უკრაინული კუნძულის, ზმეინის დამცველმა მესაზღვრეებმა გასცეს რუსეთის სამხედრო გემის ბრძანებას, დანებებულიყვნენ, რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის პირველივე დღეებიდან გახდა რუსეთთან წინააღმდეგობის სიმბოლო.

**„მოგესალმებით ქალბატონებო! გაშალეთ პლაკატი და მე გავაგრძელებ! მთავარია, არ დაიღლებით“**, – თქვა თეა წულუკიანმა, რომლის გამოსვლის დროსაც დეპუტატი თინა ბოკუჩავა ტრიბუნაზე ხელს აბრახუნებდა და ხმამაღლა მიმართავდა: **„ვერ გააგრძელებთ, ვერ გააგრძელებთ! იცით, რა ხდება, ქალბატონო თეა, გარეთ?!**..

პარლამენტის გარეთ „კულტურის მინისტრის რეპრესიულ პოლიტიკას“ აპროტესტებდნენ კულტურის სფეროს წარმომადგენლები, მათ შორის, სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებებიდან გათავისუფლებული თანამშრომლები.

**„ჩვენ ვართ დარწმუნებულები... ის არ შეეხება არცერთ შემთხვევას, მის მიერ გათავისუფლებული თანამშრომლების შესახებ, ის არ შეეხება ცენზურის საკითხს“**, – მიმართავდა პარლამენტთან შეკრებილებს დოკუმენტალისტი ნინო გოგუა.

ამ დროს პარლამენტის თითქმის ცარიელ დარბაზში მინისტრის გამოსვლას მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი უსმენდა, მათ შორის ოპოზიციიდან.

ოპოზიციონერმა დეპუტატებმა თინა ბოკუჩავამ, თამარ კორძაიამ, სალომე სამადაშვილმა და ხათუნა სამნიძემ მალევე, მოულოდნელად თეა წულუკიანის ტრიბუნასთან პლაკატი გაშალეს. წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ დეპუტატებს საპროტესტო ბანერი ხელიდან „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ გამოსტაცა.

**„მანდატურს ვთხოვ, მიდით და გაიყვანეთ! ქალბატონო თინა, ქალბატონო სალომე, დატოვეთ დარბაზი! დაატოვებინეთ დარბაზი!.. თქვენც გაძევებთ!.. თქვენ არ მყავდით გაძევებული, მაგრამ თუ გნებავთ!.. დაატოვებინეთ დარბაზი ქალბატონ თინას, ქალბატონ ხათუნას, ქალბატონ სალომეს!“** – მიმართა პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა მანდატურებს და ხანმოკლე შესვენება გამოაცხადა.

სხდომის განახლების შემდეგ შალვა პაპუაშვილმა **„სამარცხვინო საქციელი“** უწოდა მომხდარს.

**„ვფიქრობ, ეს ქალი დეპუტატები არიან, რომლებიც განსაკუთრებულად შეურაცხყოფენ როგორც პარლამენტის მანდატს, ასევე ჩრდილს აყენებენ ქალის როლს პოლიტიკაში... ვწუხვარ, რომ ასეთი სახე წარმოჩინდება ქალი პოლიტიკოსისა ქართულ რეალობაში“**, – თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მოგვიანებით, თვის ბოლოს, როდესაც ოპოზიციონერ დეპუტატებს ხელფასი ჩაერიცხათ, აღმოაჩინეს, რომ მათ ანაზღაურებას 200-200 ლარი აკლდა. რეგლამენტის მიხედვით, „იმ პარლამენტის წევრს, რომლის მიმართაც შესაბამის დღეს კომიტეტის სხდომის/პარლამენტის პლენარული სხდომის მიმდინარეობის პერიოდით კომიტეტის სხდომის დარბაზის/სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა იქნა გამოყენებული, დაუკავდება შესაბამისი თვის ხელფასის 5%“.

**„ეს არ არის პატარა თანხა იმ დეპუტატებისთვის, რომლებიც ხელფასზე ვართ. ეს არის სასჯელი იმისთვის, რომ ათასჯერ დაფიქრდე როგორ გამოხატო პროტესტი“**, – ამბობს ხათუნა სამნიძე, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე. ის სექსტემბერში ორჯერ გააძევეს დარბაზიდან, შესაბამისად, ხელფასიდან 10 პროცენტი დაუკავდა.

**„ხელფასის დაქვითვა ნიშნავს, რომ არ გამოხატო შენი პოზიცია ისე მკვეთრად, როგორც ამას თვლი საჭიროდ“**, – პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი, თამარ კორძაია ფიქრობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა, რომ კოლეგების სანქცირებას “ „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონდეს.

**„გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ ლაპარაკს, არამედ გამოხატვის ფორმის არჩევასაც. ეს იქნება ბანერის გადმოკიდება, გაშლა... როდესაც ჩვენ წულუკიანის სიტყვით გამოსვლის დროს ბანერი გავშალეთ, ჩვენ არ ვუშლიდით მას ხელს, მაგრამ პაპუაშვილმა მაინც გადაწყვიტა, რომ ჩვენ უნდა გავეძევებინეთ“**, – ამბობს კორძაია.

„რადიო თავისუფლებამ“ პარლამენტიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციით გაიგო, რომ 2020 წლის მოწვევის პარლამენტში თავმჯდომარემ კოლეგებს ჯარიმა სულ 6-ჯერ დააკისრა.

„რადიო თავისუფლებამ“ 2020 წლის მოწვევის პარლამენტის დეპუტატების შესახებ საჯარო ინფორმაცია 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გამოითხოვა.

ამ 6 შემთხვევას შორისაა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე, რომელიც ასევე 2023 წლის 20 სექტემბერს გააძევეს დარბაზიდან და დააჯარიმეს.

ის სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად ითხოვდა, პარლამენტში გამართულიყო დებატები, რომელზეც იმსჯელებდნენ ყოფილი მთავარი პროკურორისთვის, ოთარ ფარცხალაძისთვის, როგორც რუსულ ეფესბესთან დაკავშირებული „ქართველი-რუსი ოლიგარქისთვის“, ამერიკული სანქციების დაწესებაზე.

წინა დღეს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომლის პრეზიდენტის მოვალეობას ყოფილი ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა ასრულებს, ქართულ ბანკებს უფლება მისცა, არ გაეყინათ სანქცირებული საქართველოს მოქალაქეების საბანკო ანგარიშები.

**„პარლამენტი არის იმ ხალხის წარმომადგენელი, რომლებიც ახლა ითხოვენ პასუხს... „ქართულ ოცნებას“ მივმართავ, თქვენ ახლა იცავთ რუსულ ჯაშუშურ ქსელს**...“ – ამბობდა გიორგი ვაშაძე.

მას პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვით დამთავრების საშუალება არ მისცა.

**„გასაგებია, გავიგე, ბატონო გიორგი. იმიტომ გითიშავთ (მიკროფონს), რომ გასაგებია თქვენი პოზიცია. ნუ საუბრობთ მიკროფონის გარეშე. შენიშვნას გაძლევთ მიკროფონის გარეშე საუბრისთვის“**, – უთხრა მას შალვა პაპუაშვილმა და მალევე მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს სხდომათა დარბაზიდან გააძევებინა კოლეგა.

თამარ კორძაია იხსენებს, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გადაწყვეტილების გამო, მთელი აქცენტი მასზე იყო გადატანილი და უყურადღებოდ რჩებოდა იმ ხელოვანების პროტესტი, რომლებიც პარლამენტის გარეთ იყვნენ შეკრებილები.

**„ჩვენი პირდაპირი ვალდებულებაა, რომ ავსახოთ საზოგადოების უკმაყოფილება პარლამენტში. ვიყენებთ ყველა იმ მეთოდს, რომელიც ადეკვატურია ამისთვის - ვიყენებთ კითხვის დასმის შესაძლებლობას, მერე პოზიციის შეთავაზებას. როცა ამას ვაკეთებთ და სხვა გზა აღარ გვრჩება, ვიყენებთ პროტესტის ამ ფორმას. ეს გავაკეთეთ წულუკიანის შემთხვევაშიც“**, – ამბობს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი.

მათ მიმართ გამოყენებული სანქციები ოპოზიციონერ ქალ დეპუტატებს აფიქრებინებთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შერჩევითი და დისკრიმინაციულია.

მაგალითად, 31 ოქტომბერს შალვა პაპუაშვილის თანაგუნდელმა ირაკლი ზერაიამ თავდაცვის კომიტეტში მისი მოადგილე, ოპოზიციონერი ქალი დეპუტატი შეურაცხყო. ამ დროსაც თითქმის სრულად ცარიელი იყო დარბაზი, თუმცა სპიკერმა, შალვა პაპუაშვილმა, რომლის უფლებაა ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება – გაუთიშოს დეპუტატს მიკროფონი, მისცეს შენიშვნა ან სხდომათა დარბაზიდან გააძევოს კოლეგა, არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. პირიქით, მან ირაკლი ზერაიას სიტყვის დასამთავრებლად დაუმატა დრო.

**„შეიძლება ყველას მოუვიდეს ასეთი გადაცდომა. მნიშვნელოვანი მომენტია, რომ ბატონმა ირაკლიმ, რაც შეეხებოდა მისი გამოსვლის ბოლო 5 წამს, მან ბოდიში მოიხადა. მოდი, დავაფასოთ ეს ბოდიში...**

**როდესაც გარკვეული ზღვარი იქნება გადალახული, შევეცდები დროულ რეაგირებას. სიმართლე გითხრათ, ყველას გამოსვლას არ ვუსმენ ხოლმე და ასე წამიერი რეაგირება ვერ მექნება“**, – განმარტა შალვა პაპუაშვილმა მეორე დღეს.

პარლამენტიდან მიღებული საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ამ გამოსვლის გამო ირაკლი ზერაიას ფინანსური სანქცია არ დაკისრებია.

**„(პარლამენტის თავმჯდომარე) შეუზღუდავად აძლევს უმრავლესობის წარმომადგენლებს სიძულვილის, დისკრიმინაციული ენით საუბრის უფლებას. თუმცა ძალიან ხშირად ურთავს მიკროფონს ოპოზიციის წარმომადგენლებს იმის გამო, რომ „გასცდნენ თემას“**, – ამბობს სალომე სამადაშვილი.

პლენარული სხდომის მიმდინარეობის დროს სხვა არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის ფიზიკური ან სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოხდა.

მაგალითად, 2023 წლის 23 მარტს, დამოუკიდებელ დეპუტატ ტარიელ ნაკაიძეს უმრავლესობის დეპუტატმა ვიქტორ ჯაფარიძემ მიკროფონი ჩაართყა, ლევან მგალობლიშვილმა კი ნაკაიძეს მიკროფონი ესროლა. კიდევ უფრო ადრე, 2022 წლის 1 მარტს, უკრაინაში რუსეთის სამხედრო შეჭრიდან რამდენიმე დღეში, უმრავლესობის დეპუტატმა მიხეილ ყაველაშვილმა „ხელისუფლების დამუნათების“ გამო ოპოზიციას შეაგინა.

**„თან გვეუბნებით, რომ ერთად დავდგეთ და ევროკავშირში შევიდეთ, თან ასე სამარცხვინოდ იქცევით და ამუნათებთ საკუთარ ხელისუფლებას. ეს არის თქვენი საქციელი? ამაში უნდა გენდოთ? ესა ხართ? ესაა საქციელი სწორი? ეს არის მოქალაქეობა და სახელმწიფოებრივი აზროვნება? საზოგადოებას ვუხდი ბოდიშს – ჩვენ და თქვენ შორის ვინც რუსული საქმე გააკეთა და დღემდე აკეთებს, იმის დედას შევე***ი მე“**, – თქვა მაშინ ყაველაშვილმა.

არც ყაველაშვილი, და „ოცნების“ სხვა არც ერთი წარმომადგენელია არ არის იმ დეპუტატების სიაში, რომლებიც წინააღმდეგ ხელფასის დაკავების სანქცია გამოყენებული. მმართველი პარტიის რამდენიმე წარმომადგენელი იმ გრძელ სიაშია, ვისაც ხელფასი სესიებისა და კომიტეტის სხდომების გაცდენებისთვის დაექვითა.

20 სექტემბერს, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ პირველად გამოიყენა დარბაზიდან გაძევება, როგორც სანქცია დეპუტატების წინააღმდეგ, პლენარულ სხდომაზე განმარტა, რით ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღების დროს:

**„ყველას ვაძლევ რამდენიმეჯერ ხმაურის შესაძლებლობას, უკვე როცა ზედმეტი ხმაურია, (დარბაზს) ვატოვებინებ“.**





**გელა ბოჩიკაშვილი,**
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

**ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორთან, პროფესორ ზურაბ ლომსაძესთან**



# ბუნებრივი რესურსები ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში

(პირველი გვერდიდან)

არსებობის 45 წლიდან, დროის 2/3-ზე მეტი, ცენტრი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ფუნქციონირებს. 2003-2012 წწ. მომზადდა და გამოიცა ნაშრომთა ციკლი **„საქართველოს რეგიონების (აჭარა, აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, თბილისი) ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“** (13 ტომი), რომლებშიც ფართოდაა ასახული ქვეყნის ბუნებრივი რესურსების პრობლემების კვლევის შედეგები რეგიონულ ჭრილში, რამაც ნათლად წარმოაჩინა ქვეყნის მთელ ტერიტორიებზე ბუნებრივ სიმდიდრეთა პოტენციალი და მისი გამოყენების თავისებურებანი.

2015 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით გამოვეცით მონოგრაფია **„საქართველოს ბუნებრივი რესურსები“ (ორ ტომად, 1183 გვ.)**. თემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული მონოგრაფია შეზღუდული ტირაჟით დაიბეჭდა, თანაც გრიფით – **„სამსახურებრივი გამოყენებისათვის“**. ამდენად, ბუნებრივია, ფართო გავრცელება ვერ ექნებოდა.

45 წლის იუბილეს ცენტრი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგით შეხვდა. ამჯერად, იგი უკვე ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგა ნაშრომით **„საქართველოს ბუნებრივი რესურსები – რეალობა, გამოწვევები, სტრატეგია“ (438 გვ.)**. ამ ნაშრომს მოკრძალებულად შრომათა კრებული ვუწოდეთ, თუმცა სტრუქტურითა და შინაარსით წარმოადგენს ქვეყნის წამყვან მეცნიერთა მიერ შესრულებულ მიზნობრივ სამეცნიერო კვლევათა შედეგების სისტემურ ერთობლიობას ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ, რაც დამეთანხმებით, მეტად აქტუალურია დღეისათვის.

**– საინტერესოა, ვისთვისაა განკუთვნილი ეს ნაშრომი და რა სიახლეებს სთავაზობს იგი მკითხველს?**

– ნაშრომი მკითხველთა ფართო წრისთვისაა განკუთვნილი, თუმცა ვფიქრობთ, რომ მისი ძირითადი მომხმარებლები სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, ბიზნესი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები იქნებიან.

სიახლეთა შესახებ ცოტა შორიდან დავიწყებ:

მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის დაშლიდან სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა და ბუნებრივია, სულ სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში გვიწევს ცხოვრება, რაც თვისებრივად ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოებას, ბიზნესსა და მეცნიერებას.

ასეთ დროს, განსაკუთრებული როლი ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას ენიჭება, რაც უპირატესად ქვეყნის საკუთარი რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებით უნდა განხორციელდეს. ამაში დაგვარწმუნა **კოვიდ 19-ის** პანდემიამ და ბოლო წლებში მსოფლიოში წარმოქმნილმა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების ცხელმა კერებმა, რაც სწორედ რესურსების ძალისმიერი გადანაწილების აშკარად გამოხატულ ზრახვებს ემსახურება. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განსაკუთრებული სიმწვავით გამოავლინა საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის არაეფექტიანად გამოყენებისა და იმპორტზე არსებითად დამოკიდებულების ხარვეზები.

**შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების „გარღვევის სტრატეგიის“ შემუშავება და ამოქმედება, რაც მისი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მაღალეფექტიანი ათვისების გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია.**

ნაშრომის მთავარ მიზანს სწორედ იმის დასაბუთება წარმოადგენს, თუ რა უშლის ხელს ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებას და როგორი სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ღონისძიებები უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სასურველი შედეგების მისაღწევად.

რეალურად უნდა გავაცნობიეროთ, რომ საქართველო მდიდარია მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით, რაც ამჟამად არარაციონალურად და არაეფექტიანად გამოიყენება. ამასთან, ქვეყანა ჯერ კიდევ ფლობს წარმატებული ინდუსტრიული განვითარების შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სამეურნეო და სამეცნიერო კადრების პოტენციალს.

**ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს მთავარი სტრატეგიული რესურსი მისი ინტელექტუალური პოტენციალია, რომლის ეფექტიანი გამოყენება რეალურად შესაძლებელია სახელმწიფოსა და მეცნიერების მიზნობრივი პარტნიორობით, რაც საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. სწორედ ეს არის ნაშრომის დედააზრი.**







ნაშრომში შემოთავაზებულია შემდეგი სიახლეები:

– ქვეყნის რესურსული პოტენციალი განხილულია ინტეგრალური მიდგომით, რომელიც გულისხმობს ცალკეული სახის ბუნებრივი რესურსების მიზნობრივი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ქვეყანაში არსებულ სხვა მნიშვნელოვან მატერიალურ, არამატერიალურ საშუალებათა და შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინებით;

– ინტეგრალური რესურსები წარმოდგენილია სხვადასხვა კატეგორიის რესურსის (მატერიალური, ინფორმაციული, გეოსტრატეგიული, ისტორიულ-კულტურული, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, ენერგეტიკული და სხვ.) სისტემურ ერთობლიობად, რომელიც ხასიათდება რესურსების ურთიერთგანპირობებულობის დონის განსხვავებული მახასიათებლებით და რეაგირებს მათ თვისებრივ და რაოდენობრივ ცვლილებებზე;

– ქვეყნის რესურსული პოლიტიკისა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მართვის სრულყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით, შემოთავაზებულია თანამედროვე პირობებში მისი რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების ძირითადი მიმართულებები, მინერალური რესურსების შეფასების ალტერნატიული მეთოდიკა, დასაბუთებულია ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების განმსაზღვრელი მნიშვნელობა რეგიონების (განსაკუთრებით მთის ზონების) ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში, სახელმწიფოსა და მეცნიერების მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავების (პარტნიორობის) აუცილებლობა და ქვეყნის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების ელექტრონული საინფორმაციო პლატფორმის შექმნის საჭიროება;

– მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები განხილულია როგორც ერთიანი ინტეგრირებული სისტემა. მიწა, როგორც ბუნებრივი რესურსი, წარმოების ძირითადი ფაქტორი და მეურნეობრიობის ობიექტი განხილულია წარმოების სხვა ძირითადი ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში. ასეთი მიდგომით გამოვლინდა რიგი თავისებურებები, ახალი ტენდენციები, ზოგიერთი კანონზომიერებაც კი, რომელთა გათვალისწინება სახელმწიფო პოლიტიკაში აუცილებელია;

– სახელმწიფოს ბუნებრივ-რესურსული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის სამართლებრივ ბაზას, ორგანიზაციულ-მმართველობით სისტემასა და ეკონომიკურ მექანიზმს, რაც ქვეყანაში შექმნის მყარ საფუძველს ბუნებრივი რესურსების პოტენციალის ეროვნული ეკონომიკის განვითარების დაჩქარების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრისათვის;

– ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების პერსპექტივების ფონზე განხილულია სახელმწიფოსა და მეცნიერების პარტნიორობის, როგორც ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა. წარმოჩენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ზოგადად ეროვნული მეცნიერების ექსკლუზიური როლი აღნიშნული მიმართულებით;

– შემოთავაზებულია „გარღვევის სტრატეგიის – მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელის“ გამოყენება, რომელიც ეფუძნება ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზნისა და მისი მიღწევის საშუალების შერჩევის პრინციპს.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზანია საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის ამაღლება, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალებაა ქვეყნის რესურსული, კერძოდ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება. ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია შედგეს 2030 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება-მოდერნიზაციის სახელმწიფო პროგრამა.

– **როგორ ფიქრობთ, გაითვალისწინებს კი ხელისუფლება თქვენს მიდგომებსა და რეკომენდაციებს ?**

– უნდა გამოვიდეთ რეალობიდან. ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ტენდენციები, ასევე გამოწვევები გააჩნია. ამიტომ, სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა პასუხობდეს გამოწვევების მასშტაბს, სიღრმეს, აქტუალობას. მოგეხსენებათ, სამყარო სწრაფად იცვლება. ბუნებრივია, იცვლება პოლიტიკაც. ნებისმიერი სიახლე მნიშვნელოვან დროის, ენერგიისა და მატერიალურ დანახარჯებსა და სათანადო კომპეტენციის საკადრო რესურსებს მოითხოვს. ამავე დროს, მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების ფართო წრეების, ქვეყნის მოსახლეობის მხარდაჭერა რეფორმებისადმი, რაც მაღალ თვითშეგნებას საჭიროებს. ამის გარეშე კი ვერცერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს რადიკალური ცვლილებების ეფექტიან განხორციელებას. გავიმეორებ, რომ აქ განსაკუთრებული როლი ქვეყნის მთავარი ინტელექტუალური პოტენციალის – მეცნიერების ჩართულობის ხარისხის მნიშვნელოვან ამაღლებას ეკისრება, რომელმაც ხელისუფლებასთან ერთად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის მომავალზე. დარწმუნებული ვართ, ჩვენი სახელმწიფო შეძლებს ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას, რაშიც იმედია საკუთარ მოკრძალებულ წვლილს ჩვენი კოლექტივის წარმოდგენილი ნაშრომიც შეიტანს.

**– საქართველომ სულ ახლახანს მოიპოვა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც კიდევ უფრო ამაღლებს რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობას. იმედს გამოვთქვამ, ჩვენი ქვეყანა შეძლებს თავი გაართვას არსებულ პრობლემებს და მალე მოიპოვებს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ქვეყნის მაღალ სტატუსსაც.**

**– და ბოლოს, სად შეუძლია დაინტერესებულ მკითხველს თქვენი ნაშრომის – „საქართველოს ბუნებრივი რესურსები - რეალობა, გამოწვევები, სტრატეგია“ გაცნობა ან შეძენა?**

– ნაშრომი მიმდინარე წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ჩვენი ცენტრის ყოველწლიური ჟურნალის – **„საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“** 2023 წლის 1(3) ნომერში, რაც სულ 150 ეგზემპლარად დაიბეჭდა. ჟურნალი არაკომერციული გახლავთ, ამდენად მას სარეალიზაციო ქსელებში მკითხველი ვერ იხილავს. ჟურნალის მოძიება შეიძლება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სტუ-ის ბიბლიოთეკაში, ხოლო მისი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ჩვენივე ცენტრის ვებ-გვერდზე, რომლის მისამართია – gnrc.gtu.ge, სადაც ნებისმიერ მსურველს აქვს მისი გაცნობის შესაძლებლობა.

– დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ საინტერესო საუბრისთვის. იმედია, კვლავაც იხილავს ჩვენი მკითხველი თქვენი სამეცნიერო ცენტრის უაღრესად საინტერესო და აქტუალურ კვლევათა შედეგებს.

– მადლობა ჩვენი საქმიანობის დაფასებისთვის. გვინდა დაგიდასტუროთ ჩვენი სამეცნიერო კოლექტივის ღრმა პატივისცემა მთელი თქვენი კოლექტივისა და გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** მიმართ, რომლის ერთ-ერთი ერთგული მკითხველი თავად გახლავართ. გპირდებით, რომ **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი.ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი** კვლავაც არაერთხელ წარდგება თქვენი მკითხველის წინაშე საინტერესო და ქვეყნისთვის აქტუალური პუბლიკაციებით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის თანამშრომლებსა და ყველა მკითხველს, მათ ოჯახებს მივულოცო დამდეგი 2024 წელი და ვუსურვო მშვიდობა და კეთილდღეობა!

**ესაუბრა**
**რუსუდან ქოზულია**



**პეტრე მამრაძე:**
**2023 წელსაც გამოჩნდა, რომ ქარიზმატულ ლიდერებზე მოთხოვნა აღარ არის, ქართველი ხალხი არ დარბის ქუჩაში და არ ყვირის „მიშა-მიშა“!**

**ვის დაასახელებდა 2023 წლის ადამიანად და რით დაამახსოვრა თავი მიმდინარე წელმა, – ამის შესახებ for.ge-ს „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე ესაუბრა, რომელიც თვლის, რომ:**

# აუხდა ნატვრა ბიძინა ივანიშვილს – „ჩემი მისიაა, საქართველოში აღარ იყოს მესია“!

**– 2023 წელს ძლიერად ჩანდა, როგორც პოლიტიკოსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რადგან თანმიმდევრულად, მტკიცედ ატარებდა პოლიტიკას და ამ პოლიტიკას დასაბუთებულად აუღერებდა.** ამ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი იყო სტრატეგიული მოთმინება, რომ უნდა შევინარჩუნოთ სტაბილურობა და მშვიდობა საქართველოში, ამისთვის საჭიროა სტრატეგიული მოთმინება და არა რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება. „ოცნება“ ნაცების არც ერთ პროვოკაციას არ წამოეგო გაქანებული საინფორმაციო ომის დროს, როცა მოდიოდა ცილისწამების ნიაღვარი საქართველოს ხელისუფლების მიმართ, ამისთვის მილიონები იყო გადახდილი, მთელი მსოფლიოს ლობისტები მუშაობდნენ და „სიენენი“ თუ სხვა საშუალებები გადასცემდნენ, როგორ შიმშილობდა **სააკაშვილი.** აშიმშილებდნენ ექსპრეზიდენტს, ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი ეს ვითომც პოლიტპატიმარი. ყველაფერ ამას გაუძლო საქართველოს ხელისუფლებამ და შედეგიც დადგა. გარდა ამისა, საერთაშორისო ასპარეზზე პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ასევე, **პაპუაშვილისა** და სხვების მონაწილეობით, „ოცნებამ“ შეძლო საქართველოს წარდგენა და დიდ ფორუმებში წარმატებული მონაწილეობა და ეს განხორციელდა საინფორმაციო ომის ფონზე. საუბარია რეგიონალურ და საერთაშორისო დონის ფორუმებზე, ასევე, თბილისში მსგავსი ღონისძიებების ჩატარებაზე. ყველაფერმა ამან იმუშავა და მინუსებიდან ამოვედით. ის, რომ შარშან უსამართლობა იყო და საქართველოს გაცილებით უფრო მეტად ეკუთვნოდა ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი, ვიდრე უკრაინა-მოლდოვას ერთად აღებულს, წელს ეს გამოსწორდა, ევროპამაც დაინახა და შეწყდა საინფორმაციო ომი. მართალია, ბოდიშს არავინ იხდის ცილისწამებებისთვის, მაგრამ ბოლო პერიოდში არ მახსენდება, ვინმე გამოსულიყო და ეყვირა, აწამებენ სააკაშვილს. არადა, ყველას გვახსოვს, ევროკავშირიდან ხმები გაისმოდა, ან გაათავისუფლებთ სააკაშვილს და ევროპაში შესვლის შანსი გექნებათ, ან სტატუსის მონიჭებაზე პრობლემა შეგექმნებათ.

**– ეს ნიშნავს, რომ ლობისტებზე აგებული კამპანია უაზრო ფულის ხარჯვაა და სააკაშვილის ლობისტებიც დაამარცხა „ქართულმა ოცნებამ“ მდუმარების პოლიტიკით?**

– დიახ, განეიტრალება ნამდვილად მოხდა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორი. დღეს ქართველი ამომრჩევლისგან არ მოდის დაკვეთა ქარიზმატულ პოპულიზმსა და დემაგოგიაზე, ეს განპირობებულია სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც მთავრობამ ჩაატარა.

**– ადრე ქართული პოლიტიკა ქარიზმატულ ლიდერებზე იყო აგებული, განსაკუთრებით, ეროვნული მოძრაობის დროს იყო ამ ტიპის ლიდერებზე მოთხოვნილება. თუმცა სააკაშვილის მოსვლამ ხელისუფლებაში ქარიზმატული ლიდერების საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. პოლიტიკა ხშირად ქარიზმაზეა აგებული, რადგან პოლიტიკოსმა ხალხს ემოცია უნდა გადასცეს, რომ მასები აიყოლიოს. ფიქრობთ, რომ ქარიზმატულების ეპოქა დასასრულისკენ მიექანება?**

– არასოდეს და არსად არ ბარდება წარსულს ერთხელ და სამუდამოდ ეს მოთხოვნა, შეერთებულ შტატებში **ტრამპი** მოიყვანეს, **ბორის ჯონსონი** – ეს სრულიად სამარცხვინო ადამიანი ლონდონში მოიყვანეს ხელისუფლებაში, საფრანგეთში **მაკრონმა** ძლივს გაიმარჯვა, რადგან რომ გაერთიანებულიყვნენ რადიკალები და პოპულისტები, ისინი იმარჯვებდნენ. როგორც კი სოციალ-ეკონომიკური ფაქტორი იცვლება, იწყება დაკვეთა ქარიზმატულ ლიდერზე, ეს ყოველთვის შეიძლება მოხდეს, არავინ დაზღვეული არაა. ამიტომ ამ ეტაპზე ქარიზმატულ ლიდერებზე მოთხოვნა არაა. გავიხსენოთ თავის დროზე ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული ცნობილი განცხადება, როცა წავიდა პოლიტიკიდან, „ჩემი მისიაა, საქართველოში აღარ იყოს მესია“. ჯერჯერობით, უკვე რამდენი წელიწადია გასული და ეს სიტყვები სრულდება. ქართველი ხალხი არ დარბის ქუჩაში და არ ყვირის „მიშა-მიშა“.

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ წლის ვაჭრობად შეიძლება დასახელდეს პრეზიდენტ ზურაბიშვილის ლაბირინთული პასუხები – შევიწყალებ, არ შევიწყალებ მიშას. ამდენი ხალხის ნერვები იხარჯება ამაზე, ყოფილი პოლიტპატიმრების ახლობლებიც შეხვდნენ ზურაბიშვილს და სთხოვენ, მისცეს პირობა, რომ არ შეიწყალებს სააკაშვილს. რას ემსახურება ხალხის ნერვებზე თამაში?**

– შეიწყალებს თუ არა ზურაბიშვილი სააკაშვილს, ამას უფრო მედიის მხრიდან სენსაციაზე მოთხოვნად აღვიქვამ. აქ დიდ ფაქტორს ვერ ვხედავ. რაც შეეხება პრეზიდენტ ზურაბიშვილის მოქმედებას, აქ ყველაფერი გასაგებია. საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც ფიცი აქვს დადებული და ამ ფიცში მკვეთრად წერია, რომ კონსტიტუცია უნდა დაიცვას, სახელმწიფო ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგეს, ყველაფერი საწინააღმდეგო გააკეთა. მას ფიცი ავალებდა, რომ პირველს სწორედ მას აემაღლებინა ხმა, როცა საქართველოს ხელისუფლებისა და ქვეყნის მიმართ საშინელი ცილისწამება მოდიოდა. ზურაბიშვილი უნდა გამოსულიყო და ეთქვა, ეს არის ტყუილი, სააკაშვილი შემოიპარა, არავინ მას არ აწამებს, ფეშენებელურ კლინიკაში წევს, საუკეთესო ლუქს სასტუმროს პირობები აქვს შექმნილი, რას არ იტანს მედპერსონალი მისგან, დედამისის მიერ შერჩეული 11 თუ 12 ექიმი თავს ევლება და დედამისი დღეში ორჯერ ნახულობს შვილს. ამას ინტერვიუებში თავად ამბობს ალასანია, დღეში ორჯერ დავდივარ და მიმაქვს საჭმელიო. ადამიანი თვითდაზიანებას თუ ეწევა, რა უნდა ქნა?! ეს ყველაფერი უნდა აეხსნა მოქმედ პრეზიდენტს, ზურაბიშვილს უნდა ეთქვა, რომ 2008 წელს სააკაშვილის სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის შემდეგ და მისი ავტორიტარული რეჟიმის ფონზე მთლიანად ჩაეხერგა საქართველოს გზა ევროპისკენ. სააკაშვილმა ჩაკეტა ეს გზა. რამდენი პუბლიკაცია იყო ამ თემაზე, ძალიან ცნობილი დასავლელი ანალიტიკოსების მხრიდან, მორჩა და გათავდა, თვითონ სააკაშვილმა აღიარა, „ნატოში აღარასდროს მიგვიღებთ, პუტინი მართალი ყოფილა“. სააკაშვილის ამ ნათქვამს სკანდალი მოჰყვა. იგივე თქვა ევროგაერთიანებამ, ყოვლად კორუმპირებული იანუკოვიჩი ხელს აწერდა ასოციაციის ხელშეკრულებას, ბოლო მომენტში გადაიფიქრა, ამის გამო მოხდა მაიდანი 2014 წელს, საქართველო საერთოდ რიგშიც აღარ იყო.

**– ყოველ შემთხვევაში, ახლახანს სააკაშვილი საზეიმოდ გამოეწყო პიჯაკში და ასე გამოხატა ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მიღების მიმართ საკუთარი განწყობა. თუმცა რეალურად რამდენად ახარებს ეს სტატუსი, სხვა თემაა.**

– სააკაშვილის მიდგომა ყოველთვის ასეთი იყო, ამიტომ ეძახდნენ მას პოლიტიკურ ცხოველს, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო გარშემო, ყოველთვის ცდილობდა, თავის სასიკეთოდ გამოეყენებინა. თავის დროზე სააკაშვილის ჭინაზე ნამდვილი ამბოხი მოხდა მის მიერვე შექმნილ დაჯგუფებაში – ნაცებში, სააკაშვილს უნდოდა **ვარშალომიძე** და აირჩიეს **მელია**, ეს მისთვის საშინელი დარტყმა იყო, ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რომ საქართველოში ჩამოვიდა, რათა მელია გაენულებინა, როგორც თვითონ თქვა, თუმცა რა გააკეთა მაშინ სააკაშვილმა? როგორ მიესალმა ამ არჩევნებს და თქვა, მთელმა საქართველომ ნახა, რომ ჩვენ, „ნაციონალური მოძრაობა“, დემოკრატიულად ვირჩევთ პარტიაში ადამიანებს და მე გპირდებით, როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, ყველა არჩევნები საქართველოში ასე დემოკრატიულად ჩატარდება, ნებისმიერ თანამდებობაზე ასე იქნება, აი ნიმუში ამისა. ამდენად, სააკაშვილს გულში რა აქვს, სხვა საქმეა, მაგრამ ყველაფერს იყენებს თავის სასარგებლოდ. სტატუსი მისცეს საქართველოს? სააკაშვილი გამოვიდა და თქვა, „ერთით ნული ქართველი ხალხის სასარგებლოდ და ხელისუფლების საწინააღმდეგოდ“.

**მანანა ნოზაძე**

# იყუჩეთ, მულდაროვ და სანაკოევ!

**საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბოლო ხანს გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში. ვითარდება ვაჭრობა, ეკონომიკური და საქმიანი ურთიერთობები, პირველ რიგში კი, თითქმის გამოირიცხა ახალი პროვოკაციული სამხედრო დაპირისპირება და ომი.**

ის, რაც ხდება, ჯერჯერობით ზედაპირული ხასიათისაა და შორს არის ორმხრივი სერიოზული ურთიერთობების აღდგენა-დარეგულირებისაგან, თუმცა მშვიდობას გვინარჩუნებს. საქართველოც და რუსეთიც ამ ვითარებიდან კონკრეტულ სარგებელს ღებულობენ. საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება ხელს ასევე აძლევს აფხაზებსა და ოსებს, ვინაიდან ეს მათთვისაც მშვიდობის



გარი მულდაროვი

გარანტიას იძლევა, რაც სამომავლო განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლების საწინდარია.

თუმცა, ყველას როდი ესმის ეს ელემენტარული ჭეშმარიტებები. სამწუხაროდ, ზოგიერთი პოლიტიკოსის პოპულიზმი ისე შორს მიდის, რომ მზად არის, ამ პოპულიზმს შესწიროს სახალხო ინტერესები. ამჯერად ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე არ გვაქვს საუბარი (ვაი რომ, ამ მხრივ ახალი არაფერია), არამედ ვლაპარაკობთ ცხინვალელ პოლიტიკოსებზე.

**ოსი პოლიტიკოსების ნაწილმა, შიდაპოლიტიკური ბრძოლის ლოგიკიდან გამომდინარე, 2019 წელს მოახდინა საქართველოსთან ე. წ. საზღვრის „დადგენის“ და კორექტირების ინიცირება. რა თქმა უნდა, კორექტირება ოსების სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო. დავუშვათ, ამ საქმის ინიციატორები, თავიანთი გადასახედიდან, პატრიოტული მოტივებით მოქმედებენ, მაგრამ საკითხავია – ვინ უნდა უზრუნველჰყოს მათი გაზრდილი მადა „საზღვრის“ გაფართოებისას? ვინ უნდა უდარაჯოს ამ საზღვარს და ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ყველა შედეგზე? – რა თქმა უნდა, რუსეთმა.**



დავით სანაკოევი

პოლიტიკური ვითარება მსოფლიოსა და ჩვენს რეგიონშიც, 2019 წლის შემდეგ შეიცვალა. მიმდინარეობს საომარი მოქმედებები უკრაინაში, ხოლო რუსეთი და საქართველო ერთმანეთთან მშვიდობას ინარჩუნებენ. სწორედ ამ დროს, ცხინვალში გააქტიურდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც სწორედ იმ პოპულისტთა კატეგორიას განეკუთვნებიან, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. ეს პოლიტიკოსები გუშინ და გუშინწინ ისევ გააქტიურდნენ და დაჟინებით ითხოვენ, თავიანთი რესპუბლიკის კანონმდებლობაში ცვლილების შეტანას, საქართველოსთან „საზღვრების“ გადახედვის, სასაზღვრო ხაზების ცალმხრივად დადგენისა და გავლების მიზნით.

ბუნებრივია, თუკი ოსი დეპუტატების – **გარი მულდაროვისა** და **დავით სანაკოევის** გეგმების რეალიზება მოხდება, ეს გამოიწვევს სამართლიან გულისწყრომას საქართველოში. რუსეთი ჩაეფლობა ოსი დეპუტატების ავანტიურაში და ახდება კიევის რეჟიმის წარმომადგენლების ოცნება - საქართველო ჩათრეულ იქნას ანტირუსულ კოალიციაში. ეს არ აწყობს არც საქართველოს, არც ცხინვალის მოსახლეობასა და არც რუსეთს. მულდაროვ-სანაკოევის ტანდემი ცდილობს, რომ რუსეთის ხელისუფლება ჩააყენოს უხერხულ მდგომარეობაში, ვინაიდან მოსკოვი საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდება. ურთიერთობა კი გარანტირებულად გამწვავდება, თუკი ცხინვალი ცალმხრივად „დაადგენს“ ე. წ. საზღვრებს და უბიძგებს რუსეთის სასაზღვრო ჯარს, მოახდინოს აქამდე ფაქტობრივად არსებული სასაზღვრო ზოლის გადახედვა, ხოლო დემარკაციის შემდეგ, ამ სასაზღვრო ზოლის შეიარაღებული დაცვა ყველა შესაძლო შედეგით.

რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიანიშნეს ოს დეპუტატებს, რომ საზღვრის საკითხის ქექვა საქართველოში არასასურველ რეაქციას გამოიწვევს, რასაც შესაძლოა, რეგიონში ვითარების დესტაბილიზაცია მოჰყვეს. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, მულდაროვი, სანაკოევი და კიდევ რამდენიმე დეპუტატი აგრძელებს დესტრუქციულ საქმიანობას და რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას ეწინააღმდეგება.

**საქართველოს ხელისუფლება, ჩვენი აზრით, ყველანაირად უნდა ეცადოს რუსეთთან კონსტრუქციული ნაბიჯების განვითარებას, მაგრამ არსებობს წითელი ხაზებიც და ასეთი წითელი ხაზი დღეს შიდა ქართლში გადის.**

**დავით აბესაძე**

21 დეკემბერს ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლის ღონისძიებათა დარბაზში ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილის თაოსნობით და საქართველოს მწერალთა კავშირის მხარდაჭერით შედგა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ავთანდილ სერგოს ძე ყურაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი პატივგების საღამო.

საზეიმო შეხვედრა გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სკოლის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნესტან ხუციძემ. ღონისძიება მიჰყავდა მწერალ გიზო თავაძეს. მწერლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ღვაწლზე ისაუბრეს მწერლებმა, მეცნიერებმა, პედაგოგებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა: ცირა შალაშვილმა, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, ერეკლე საღლიანმა, ალექსანდრე მესხორაძემ, თემურ ამყოლაძემ, ელგუჯა თავბერიძემ, ვასილ ბესელიამ, ნანა კვაშილავამ, ირინა ტაბაღუამ, ბელა დურგლიშვილმა, ნესტან მჟავანაძემ, ბელა უჩაძემ, გიორგი ონიანმა, მანუჩარ პირველმა, გენადი მარგველაშვილმა, თეიმურაზ შაშიაშვილმა. მწერლის პოეტური ნიმუშები წაიკითხეს და მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს მე-2-ე და 23-ე



საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. მწერალმა დამსწრე საზოგადოებას გულითადი მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, ხოლო საპატრიარქოსა და მწერალთა კავშირს ასევე მადლობა უძღვნა მისი „მოკრძალებული ღვაწლის“ დაფასებისა და ჯილდოებით აღნიშვნისთვის.

* * *

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ერთსულოვნად უერთდება ქუთაისელთა მილოცვებს და ქართული მწერლობის, ქართული სიტყვის ერთ-ერთ ღირსეულ გუშაგს, შესანიშნავ პოეტს, პროზაიკოსს, პუბლიცისტს და ჟურნალ „განთიადის“ ნაცად რედაქტორს, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით გამორჩეულ მამულიშვილს ავთანდილ ყურაშვილს ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებს!

დღეს გთავაზობთ ავთანდილ ყურაშვილის ერთ „ძველ“ პუბლიცისტურ წერილს, ნიმუშს იმისას, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩვენში ეროვნული საწუხარი და სავიშვიშო არ დალეულა, მაგრამ...

## ავთანდილ ყურაშვილი:

# წინ სიყვარულის ნათელი უნდა მიგვიძღოდეს!

**ქვეყნის აზრი როცა ორად და სამად არის გაყოფილი, მსაჯულად იქ არც მე გამოვდგები, არც შენ და არც ის. ჩვენი საერთო უბედურების მიუკერძოებელ მსჯავრს მაღლით ღმერთი, ძირს კი ისტორია გამოიტანს მხოლოდ, ამიტომაც მტყუან-მართლის რკვევის ძალ-ღონეც რომ გაგვაჩნდეს, ახლა საამისო დრო და საათი მაინც არ არსებობს! – კარს დიდი განსაცდელი მოგვდგომია, როგორმე იგი უნდა დავძლიოთ და უკუვაგდოთ...**

როგორც მრავალი თქვენგანისათვის, ჩემთვისაც არ არსებობს და არ არსებობდა ბარიკადის მეორე მხარე, ხომ გახსოვთ, „მამლუქის“ ავტორი ამბობდა: არც ერთი იყო ფრანგი და არც მეორე არაბი, ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენო! განა ძმათაკვლის ამ ვითარებაში მართლა არსებობს გამარჯვებულ-დამარცხებული?! ჩვენ, სუყველანი, დამარცხებული, გამწარებული, ურთიერთმტრობით გაუბედურებული საქართველოს შვილები ვართ...

ხშირად მიფიქრია, მით უმეტეს – ამ ვითარებაში, ხალხისათვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რა გვარ-სახელის ადამიანი ან ადამიანები წამოსკუპდება ან წამოსკუპდებიან დიდ თუ პატარა სახელისუფლო სკამსა და სკამებზე. ჩვენთვის მთავარი აზრი უნდა შეიძინოს იმან, თუ როგორ ირჯებიან ის და ისინი თავიანთი მოვალეობის აღსრულებისათვის საქართველოს სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეურნეო და კულტურული აღორძინებისათვის – ამიტომაც ჩემთვისა და ყოველი ქართველისათვის მთავარი არის და მთავარი უნდა იყოს არა ხელისუფალნი და ხელისუფლება, არამედ თვითონ საქართველო, მისი სახელმწიფოებრიობა. მთავრობები მიდიან და მოდიან, საქართველო კი ურყევი და უკვდავია, იგი სახელმწიფოა, იგი ხალხის სამშობლოა და არა ერთი და ორი კაცის, თუნდაც ორასიათასის, საკოტრიალო ვაშლი...

ქართველი კაცი ყველგან, სადაც არ უნდა წავიდეს, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდეს – გინდა ბურთს თამაშობდეს, ჭადრაკის დაფას უჯდეს – უნდა აკეთებდეს საქართველოს სახელმწიფოს სახელით.

საქართველოს სახელმწიფო დროშა უნდა ფრიალებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, იგი უნდა ფრიალებდეს სხვა ხალხთა, სხვა სახელმწიფოთა დროშების გვერდით ამაყად და თავისუფლად!

ვის არ უნდა, რომელ ქართველს არ სურს ასეთი რამ? ვისი ოცნება არ გახლდათ იგი?

და თუ ეს ასეა, თუკი მართლა გვსურდა და გვსურს, ასეთი რამ მოხდეს, ჯერ, უპირველესად, ჩვენს სამშობლოში უნდა ავაწყოთ ყველაფერი იმგვარად, რომ ამ შინდისფერმა შავ-თეთრზოლა დროშამ ჩვენს ცაზე, ჩვენი სასახლეების თავზე ძირს დაუხრელად, ამაყად და მყარად მდგარმა იფრიალოს. ამ დროშის კალთას სიმართლის მთქმელი, სათნოების დამამკვიდრებელი, სიწმინდის დამცველი, თავისუფლების, სხვათა უფლების პატივისმცემელი, შინაურ-გარეულის მოყვარე, სინდის-ნამუსის პატრონი ხალხის ბაგე და მარჯვენა უნდა ეხებოდეს.

ძნელი პირობა როდია, ამ რჯულზე ყოველთვის იდგა ქართველობა, დღეს რაღა ღმერთი გაგვიწყრა და გვიწყრება, გონს რომ აღარ მოვეგოთ, ამპარტავნობა არ დავიოკოთ და უკვე მოპოვებული დამოუკიდებლობა – საერთაშორისო სარბიელზე სახელმწიფო ერთეულად გასვლის ღვთითბოძებული ეს ერთადერთი შანსი ხელიდან გავუშვათ. ისტორიას ანალოგიები უყვარს, განმეორება კი არა. მერწმუნეთ, დღეს თუ ამ ვითარებას ალღო ვერ ავუღეთ, შინააშლილობის ამ უკეთური გზიდან მთელი ერის ძალისხმევით უკან არ გამოვბრუნდით, ჩვენი გასახელმწიფოებრიობის ასეთი წამისყოფა, ვეჭვობ, რომ მეტად დაგვიდგეს...

დღეს ბევრი რამ გვაკლია და არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს სამშობლო – ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველო და ისე ნუ მოვიმოქმედებთ, რომ ხვალ ყველაფერი გვექნეს, სახელმწიფოებრიობა კი აღარ შეგვრჩეს. ვიმუშაკოთ, გავისარჯოთ, ავიშენოთ თავისუფალი, ყველასგან მიღებულ-აღიარებული ღირსეული ქვეყანა, სამშობლო თუ გაქვს, შენს თავს თუ ეკუთვნი, სხვა ყველაფერი მოგეცემა... ამის თავიდათავი კი არის სიმშვიდე, სიწყნარე, ჩაცხრომა, მარჯვედ შრომა, კარგად სწავლა, სათნოების სუფევა, ე. ი. ღმერთთან სიახლოვე, წინ სიყვარულის ნათელი უნდა მიგვიძღოდეს, ღვთიური სიყვარულის ნათელი!

**ვიცი და ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ, ერთმანეთის ლანძღვა-გინებით, ერთმანეთისთვის ტყვიის სროლითა და ზურგში დანის ჩაცემით ასეთი რამის მიღწევა შეუძლებელია. იგი არასოდეს მოიპოვება ქუჩაში დგომით, უფლებაუუფლებობაზე, საქართველოს შუაზე გახლეჩაზე, დანაწევრება-დაწიოკებაზე მოწოდება-ყაყანითაც!**

**ჩვენს ქვეყანას სიმშვიდე და სიწყნარე აკლდა ყოველთვის, ამიტომ საქართველოს ენერგია, მთელი მისი ძალა და უნიკალური კაცობრიული ნიჭი გეწვის ხიდზე გავლისათვის საჭირო ძალისხმევას მიჰქონდა მუდამ... გვეყო ჩვენს მიერვე გამართულ გეწვის ხიდეზე სიარული, გამოგვდალა, გამოგვქანცა და მოგვკლა ამ გეწვის ხიდების ნგრევაშენებამ...**

დღეს უმძიმესი განსაცდელი მოგვდგომია – მოსწყინდათ საქართველოში მცხოვრებ უცხოტომელებს ეს გაუთავებელი არეულ-დარეულობა, ბათქაბუთქი, ძარცვა-გლეჯა, ტაციობა, ყაჩაღობა, მკვლელობა, განუკითხაობა, ათასი უკანონობა და უღმერთობა, მოსწყინდათ და ჩვენ თუ დროზე ერთმანეთს მხარი მხარს არ მივცემთ, თუკი ერთმანეთს არ მივენდობით, არ ვაპატიებთ, არ მივეფერებით, ბატონი აკაკი ბაქრაძის არ იყოს: სომხებით დასახლებული ეს ჩვენი მიწა-წყალი სომხეთისაკენ გაიწევა, აზერბაიჯანელებით – აზერბაიჯანისკენ, აფხაზებიც უფრო დიდ და მშვიდ ნავსაყუდელს მიაშურებენ, ოსები ხომ იქაჩებიან და ლამის მართლა მოსწყდნენ საქართველოს. ამ ჩვენს დედააჭარასაც არანაკლები მადის სახელმწიფო შემოჰყურებს პირზე ნერწყვმომდგარი... ამის შემდეგ, თუ ვინმე გადავურჩით ერთიმეორის ტყვიას, დანას, ხანჯალს, შხამსა და საწამლავს, ვიაროთ შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ ამ ჩვენს სამშობლოში –ზუგდიდსა და თბილისს შორის, ვიწუხოთ და ვითავცემოთ, თუმცა ამათაც ვიღა დაგვანებებს, ორი მოჩხუბარი მამლის არ იყოს, დაუძლურებულნი მელიას კერძად რომ იქცნენ, ჩვენც მათ მსგავსად, ტურა-მელიების ყბაში თუ არა, დათვის ტორებში მაინც აღმოვჩნდებით.

ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა მივუბრუნდეთ საკუთარ თავს, არ უნდა დავფიქრდეთ, არ უნდა შევეკითხოთ უფალს, ეს რა უბედურება ტრიალებს ჩვენზე, ეს რა მოგვდის, რა ცოდვის კითხვა დაგვტყდომია-თქო, ღმერთო!

ჩვენ გადავეჩვიეთ საკუთარი ჭკუით აზროვნებას, ჩვენ გვეიოლება სხვისი და ნასხვისარი აზრების ცოდნა-ღეჭვა, თორემ არა მგონია, კაცი რომ თავის თავს, თავის ღმერთს განუმარტოვდეს და დაეკითხოს. მეორე წუთში ადგეს, თოფს წაავლოს ხელი, მოყვასს დანა მოუღიროს, მამულ-დედული გასახლეჩად და გასატიალებლად გაიმეტოს, რამეთუ თავთან და ღმერთთან დარჩენილ კაცს უფალი ყოველთვის ეუბნება: არა კაც ჰკლა და გიყვარდეს მოყვასი შენი, პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა... ხოლო მოყვასი შენი, ძმაო და დაო, შენივე ხალხია, დედ-მამა იგივე სამშობლოა, სამშობლოზე უზენაესი კი ამ ქვეყანაზე არაფერია. არ შეიძლება, სასწორის ერთ ჯამ-პინაზე სამშობლო დაიდოს, მეორეზე კი, რომელიმე ჩვენგანი...

ერთ კაცს, როგორი დიდი და გენიალურიც უნდა იყოს იგი, სამშობლოდ განსახიერება არ ძალუძს, რადგან ერთ კაცს, თვით რუსთაველსაც, თვით, მსოფლიოში ყველაზე დიდი გონის პატრონად აღიარებულ აინშტაინსაც, არ შეუძლია გადაწონოს სასწორის საპირისპირო მხარეზე შემოდებული თუნდაც ყველაზე პაწაწინა სოფელი, უფრო მეტიც, ერთი თავი ყოველთვის ერთია, ორი უკვე ორი არ არის, იგი განუსაზღვრელად უფრო დიდი განზომილებისა გახლავთ.

სამშობლო, ქვეყანა, ხალხი თავად არის თითოეული ჩვენგანის მშობელი, წარმომჩენი და წამომფრენი, ჩვენ კი სამშობლოს შექმნის ძალა არ მოგვანიჭა ღმერთმა. ჩვენ შეგვიძლია, გავახაროთ, ავაყვავოთ, გავამდიდროთ და სული ჩავუდგათ, პირიქითაც ხდება, როგორც დღეს – ვავნოთ, დავამწუხროთ, იავარვქმნათ და ძაძებით შევმოსოთ...

ნუ გავიმეორებთ, ნუღარ გავაღრმავებთ ამ ცოდვას, მივუბრუნდეთ საკუთარ თავსა და გულს, მივუბრუნდეთ საკუთარ ოჯახებს, მივუბრუნდეთ მეზობლებს, მეგობრებს, დედმამიშვილებს, მშობლებს. მივუბრუნდეთ, მივეხუტოთ და მივეთბუნოთ ჩვენს გაპარტახებულ, განადგურებულ, გამწარებულ დედულ-მამულს, ჩვენს მწუხარე, ჩვენგანვე გაუბედურებულ მშობლებს – დედასამშობლოს ცრემლჩამდგარ თვალზე გადავუსვათ ერთმანეთის სისხლით მოთხვრილი ცოდვილი ხელები და პატიება შევსთხოვოთ, ერთხელ და სამუდამოდ შევფიცოთ, დავამშვიდოთ, რომ აღარასოდეს დავუშვებთ, თაყვანი ვცეთ კერპსა მსგავსა ჩვენი თავისასა, რომ ვაღიარებთ ერთადერთ მის უზენაესობას, რომ ვლოცულობთ მშვიდობისათვის, სიყვარულისათვის, თავისუფლებისათვის, შენდობისა და პატიებისათვის და ისიც მხოლოდ ერთარსება მამა, ძე და სულიწმიდის სახელზე...

გამოცხადებულია სამხედრო წესები...

მთელი სამოცდაათი წელიწადი უწესოდ და უკანონოდ გაგვიტარებია, ეს ბოლო წელიწადი ხომ უკანონობისა და უწესობის გვირგვინთაგვირგვინი გამოდგა... მოდით, ახლა მაინც დავმაგრდეთ ჩვენს-ჩვენს ადგილებზე, ხელს ნუ შევუწყობთ და ნუ შევქმნით სისხლისსანთხევ ვითარებებს, საჩხუბარ და კეტის სატრიალო გარემოებებს... ნუღა დავღვრით ზედმეტ სისხლს, არა აქვს ქართველს საკუთარ ჭერქვეშ დასაღვრელი სისხლი...

ბოლოს და ბოლოს, არ არსებობს არც ერთი თანამდებობა, არც ერთი უმაღლესი სკამი და მისი პატრონი, რომელსაც თუნდაც – ერთი წვეთი სისხლის დაღვრა ეპატიებოდეს, სიცოცხლის ხელყოფა მით უმეტეს! კაცს არ უნდა წაართვა იგი, რისი მიცემაც შენ არ შეგიძლია.

ვის ძალუძს, დაუბრუნოს იმ ახალგაზრდებს, იმ დაღუპულ ბიჭებს სიცოცხლე! რომელ მთავრობას, რომელ ხელისუფლებას, რომელ დიქტატურას, რომელ დროშას ხელეწიფება, სული შთაბეროს და ხელახლა გააცოცხლოს ისინი – საუბედუროდ, არც ერთს!

კაცის სიცოცხლე გარეშე მტერთან ბრძოლას უნდა ეწირებოდეს და ასეთი რამის თავიდან აცილებაც შესაძლებელი გახდა ამ ჩვენი საუკუნის მიწურულს. მსოფლიო სისხლისღვრას გაურბის, მსოფლიო ხვდება, რომ ჩვენ, სუყველანი ამ ციცქნა პლანეტაზე, ღვთის ნებით გავჩენილვართ, ამიტომაც ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ მასზე – ამ მიწაზე და ერთმანეთზეც, თუკი ადამიანთა მოდგმისათვის ეს ჩვენი პლანეტა ასე ერთი ციცქნა გამხდარა, მაშინ ჩვენ რაღა მოგვდის ამ ხელისგულისოდენა მიწაზე?! რა ვერ გაგვიყვია? სამშობლოს სიყვარული?! თავისუფლებისადმი ლტოლვა? ან რად ვერ გამოგვიცალკევებია, ვერ გამოგვირჩევია ამ უწმინდეს გრძნობათაგან სკამი! სავარძელი! ტახტი!

**დამწვარა ყველა ის სკამი, ის სავარძელი, ის ტახტი, შენი სისხლის საღვრელად რომ მომიწოდებს, ძმაო!**

**შენს დასაქვრივებლად ხელში თოფს რომ მაჩეჩებს, დაო!**

**შენი დასაობლებლად სახლიდან რომ გამომაგდებს, ჩემო ყმაწვილო მეგობარო!**

**დამწვარა და დაიწვება კიდეც – უფალი დიდია, უფალი სამართლიანია.**

**და ქვეყანაზეც არ დაილევა სინდისნამუსიანი, კაცთმოყვარე, დედულ-მამულის პატრონი და დამცველი კაცი!**

**1992**

# წყალში ჩასაძირად განწირული პატარა ქვეყნები...




**დუბაიში, გაეროს ეგიდით, კლიმატის ცვლილების თემაზე, რიგით 28-ე კონფერენცია გაიმართა, რომელშიც, 200-მდე ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. ასეთი მრავალმხრივი კონფერენციები, რომელიც კლიმატის პრობლემებზე საერთაშორისო დონის გადაწყვეტილებებს ღებულობს ხოლმე, ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა ქვეყანაში. დუბაის კონფერენციაში საქართველოც იყო წარმოდგენილი.**

კონფერენციის არაბულ ქვეყანაში ჩატარების ფაქტმა ექსპერტებისა და ენჯეოების უკმაყოფილება გამოიწვია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საემიროები ოპეკის წევრი ქვეყანა და ნავთობის ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორია. 2012 წელს, კონფერენციას კატარი მასპინძლობდა, ასევე, ნავთობის მსხვილი მომპოვებელი ქვეყანა. ეკოლოგების აზრით, ნავთობის მწარმოებელ და მოვაჭრე ქვეყნებში, საერთაშორისო ეკოლოგიური შეკრების ჩატარება მსოფლიოს არასწორ მესიჯს უგზავნის, რადგან გარემოს ყველაზე დიდი დამნაგვიანებელი სწორედ ეს ქვეყნებია. კიდევ უფრო მეტი ცინიზმია ის, რომ კონფერენციას საემიროების მთავარი ნავთობ-კომპანიის მმართველი თავმჯდომარეობდა.

მასმედიაში სატირამ და შავმა იუმორმა გაიელვა, საქათმის დარაჯად მელა დანიშნესო. თავად შეკრება საკმაოდ ნაყოფიერად წარიმართა, მოხდა აზრების გაცვლა და არაერთ სასარგებლო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, მაგრამ კონფერენციის დასკვნითი დოკუმენტი ზედმეტად კომპრომისული აღმოჩნდა, რითიც ბევრი ქვეყანა და დარგის სპეციალისტი იმედგაცრუებულნი დარჩნენ. მათი აზრით, ამ დოკუმენტის მიღებით კონფერენციამ მსოფლიოს ცუდი სიგნალი გაუგზავნა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ წიაღისეული საწვავის მოხმარება 2050 წლამდე გაახანგრძლივეს, რაც კიდევ უფრო მეტად დააბინძურებს ჰაერს.

ნავთობ-მწარმოებელმა ქვეყნებმა დაიჟინეს, რომ საწვავზე უარის სათქმელად, ჯერ, არ არიან მზად. კონფერენციის ხელმძღვანელობის აზრით კი, დიდი გარღვევა მოხდა, რადგან დოკუმენტში წიაღისეული საწვავის მოხმარების ვადა ჩაიწერა. დოკუმენტის მიღება, შეიძლება, სულაც, ჩაშლილიყო, რადგან ოპეკის წევრი საუდის არაბეთი მოითხოვდა, დოკუმენტში საერთოდ არ ეხსენებინათ წიაღისეული საწვავი. გარდა ამისა, ოპეკის თავმჯდომარემ, ჯგუფის წევრებს მოუწოდა, უარი ეთქვათ ნებისმიერ წინადადებაზე, რომელიც წიაღისეულ საწვავს შეეხებოდა. ბევრი ქვეყანა იმითაც იყო უკმაყოფილო, რომ დოკუმენტში არ შეიტანეს ქვანახშირზე, ნავთობსა და გაზზე ეტაპობრივი უარის თქმა, რაც ხელს შეუწყობდა გლობალური დათბობის შეჩერებას.

ცნობილია, რომ გლობალური დათბობა ექსტრემალური ეკოლოგიური მოვლენების, მათ შორის, წყალდიდობის, გვალვის, ტყის ხანძრის, ქარიშხლის, ყინვისა და სიცხის სიხშირესა და ინტენსივობას ზრდის. გლობალური დათბობით გამოწვეული მოვლენებით ყველაზე მეტად მსოფლიოს პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოები ზარალდება, რადგან, ოკეანეების წყლის დონე იზრდება. ასეთი ზრდა დიდი ქვეყნებისთვისაც ზარალის მომტანია, თუმცა, კატასტროფული არ არის. პატარა კუნძულებისთვის კი, პრობლემა ჭეშმარიტად ეგზისტენციალურია.

ეკოლოგების აზრით, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ასეთმა ქვეყნებმა, შეიძლება, აღარ იარსებონ. უბრალოდ, წყალში ჩაიძირებიან. ყველაზე დიდი რისკის ქვეშ კირიბატი, ტუვალუ, მალდივები და მარშალის კუნძულებია. ამასწინათ, ტუვალუმ და ავსტრალიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, ავსტრალია ტუვალუს დახმარებას იმით გაუწევს, რომ თუ ტუვალუს მოქალაქეები ავსტრალიაში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლას მოისურვებენ, ავსტრალია მათ უპრობლემოდ მიიღებს, ანუ, მსოფლიოს ეკოლოგიური კატასტროფებით გაჩენილი ლტოლვილები ეყოლება.

კონფერენციამ სხვა საკითხებშიც გააკეთა გარღვევა, მაგალითად, გადაწყდა, შეიქმნას ზარალის ამნაზღაურებელი მსოფლიო ფონდი, რომელიც პატარა, შეჭირვებულ ქვეყნებს კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული ზარალის აღმოფხვრაში დაეხმარება. ასეთი ფონდის შექმნა დიდი ხნის მოთხოვნაა, რომელიც ბოლოს და ბოლოს, განხორციელდა, რაც პატარა ქვეყნებისთვის იმედის მომცემია.

# ბებერ ევროპაში ლტოლვილთა რისკვი გაასმაგდა!



**ევროპის კონტინენტზე არალეგალურ მიგრანტთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. იყო დრო, როცა ევროპელები კეთილი თვალითა და გაშლილი ხელით ეგებებოდნენ მოზღვავებულ იმიგრაციას. ახლა კი, დაფიქრება დაეტყოთ. მდგომარეობა, ჯერ კიდევ 2015 წელს გაუარესდა, როცა ევროპამ სირიელი ლტოლვილები მიიღო. მას შემდეგ, ლტოლვილების ნაკადი გაასმაგდა. ევროკავშირი პრობლემას ვეღარ უმკლავდება ან, სულაც, ხელჩაქნეულია. ხალხი ამას ხედავს და უკმაყოფილებას გამოთქვამს. ნაწილი შველას ხელისუფლებაში ულტრა-მემარჯვენეთა მოსვლაში ხედავს. ამიტომაა, რომ მემარჯვენე პოლიტიკურ ძალთა რეიტინგი რეკორდებს ხსნის.**

მომავალ წელს, ევროპის საპარლამენტო არჩევნებია. ულტრა-მემარჯვენეების რეიტინგით შეშინებულმა ცენტრისტულმა კონსერვატორებმაც მიგრანტების თემის პირველ ადგილზე წამოწევა დაიწყეს. ასე მოხდა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში. ინგლისის მმართველმა კონსერვატულმა პარტიამ, ჯერ კიდევ, შარშან, იტალიის მმართველ ცენტრისტულ-მემარჯვენე კოალიციასთან ერთად, ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, და არცთუ უშედეგოდ! ამ ქვეყნებმა, მიგრანტების საკითხში, მემორანდუმი გააფორმეს, რომლის მიხედვით ისინი ბრიუსელში ერთობლივ საიმიგრაციო პოლიტიკას გაატარებენ. გარდა ამისა, გადაწყვიტეს, რომ არალეგალურ მიგრანტთა ბანაკები ევროკავშირის მიღმა ტერიტორიებზე გააკეთონ. ამ საკითხთან დაკავშირებით, რომში, ბრიტანეთისა და ალბანეთის ლიდერებს იტალიის პრემიერმა უმასპინძლა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მიგრანტების ბანაკები ალბანეთში გაიხსნება.

მანამდე, ინგლისის პრემიერმა ასეთი ხელშეკრულება აფრიკის ქვეყანა რუანდასთან დადო. იგულისხმება, რომ რუანდაშიც და ალბანეთშიც, ევროპის დონის ბანაკები მოეწყობა, და ღონისძიების ფინანსურ უზრუნველყოფას ინგლისი და იტალია იკისრებს. მდგომარეობა გაართულა იმან, რომ ბრიტანეთშიც და იტალიაშიც ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ ლიბერალური ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები გამოვიდა. უფრო მეტიც, ინგლისურმა ენჯეობმა მთავრობას უჩივლეს, და ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ თავშესაფრის მაძიებელთა რუანდაში გაგზავნის პოლიტიკა უკანონოდ სცნო. ასეთი ვერდიქტის მიზეზად ის დასახელდა, რომ რუანდამ, შესაძლოა, მიგრანტები იმავე ქვეყნებში დააბრუნოს, საიდანაც ჩამოვიდნენ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი განაჩენს არ დანებდა და კაბინეტს რუანდის ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანა დაავალა. განახლებული ხელშეკრულება რიში-სუნაკმა ინგლისის პარლამენტში კენჭისყრაზე პირადად შეიტანა. ინგლისის პრემიერის ასეთმა მკვეთრმა და პირდაპირმა სვლამ საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია. თავად, სუნაკის გარემოცვაში კი, დიდი უკმაყოფილება.

ბოლოს და ბოლოს, სუნაკის მეცადინეობამ და საკუთარი გუნდის წევრებთან მუშაობამ გაჭრა და მან თავისას მაინც მიაღწია: ბრიტანეთის პარლამენტის უმრავლესობამ, მთავრობის მიერ ინიცირებულ გეგმას მიგრანტთა მოვლა-პატრონობის შესახებ მხარი დაუჭირა. მთავრობაში არსებობს აზრი, რომ სქემა შექმნილია მიგრანტთა შესაჩერებლად, რომლებიც პატარა ნავებით დიდი ბრიტანეთის საზღვრის გადაკვეთას ცდილობენ ხოლმე.

არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად, მიგრანტების რაოდენობა დიდ-ბრიტანეთში შემცირდება. რიში-სუნაკმა სოციალურ მედიაში ასეთი შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა: ვინ შემოვა ქვეყანაში და ვინ არა, თავად ბრიტანელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. იმიგრანტები არ უნდა იყვნენ კრიმინალური დაჯგუფების წევრები. ეს არის ზუსტად ის, რასაც ეს კანონპროექტი გულისხმობს.



**ნუგზარ. ბ. რუხაძე**
POSTV

# „ვრასტანის“ დიდი დანიშნულება

**გულითადად** ვულოცავ საქართველოს სომხურენოვან გაზეთ „ვრასტანს“ დაარსებიდან 103-ე წლისთავს. იგი 1920 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს სომეხ მოსახლეობას აწვდის სრულყოფილ და ობიექტურ ინფორმაციას საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ, ხელს უწყობს საქართველოს სომხური თემის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და ამავდროულად მის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებას.

ფასდაუდებელია გაზეთ „ვრასტანის“ როლი ქართულ-სომხური ურთიერთობების გამყარებისა და ჩვენს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. მარად ახალგაზრდა გაზეთმა არა ერთხელ დაარწმუნა თავისი ერთგული მკითხველი, რომ ქართველ და სომეხ ერებს შორის ურთიერთსიყვარულს, ერთმანეთის ნდობასა და ურთიერთპატივისცემას ალტერნატივა არა აქვს.

**ნინო აფციაური,**
არმენოლოგი, ისტორიის აკადემიური დოქტორი,
თსუ მეცნიერ-თანამშრომელი, 2003-2019 წლებში სომხეთში
საქართველოს საელჩოს მრჩეველი

# პუტინთან ეშმაკური ზავი დავდოთ!..



**რას ვიღებთ რუსეთი და უკრაინა ორი რაიონული ცენტრისთვის 20 000 დაღუპულით ორივე მხარეს, რას მივაღწიეთ ასეთს ისტორიული თვალსაზრისით,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილმა მრჩეველმა, ალექსეი არესტოვიჩმა იულია ლატინინას იუთუბარხზე გასულ გადაცემაში განაცხადა.

**„ახლა ერთმანეთს ვხოცავთ – ასობით, ათობით ათას ადამიანს ავდეევკისთვის, ჩასოვი იარისთვის. რისთვის? რას ვიღებთ ამით რუსეთიც და უკრაინაც? რას ვიღებთ ორი რაიონული ცენტრისთვის 20 000 დაღუპულით ორივე მხარეს? რას მივაღწიეთ ასეთს ისტორიული თვალსაზრისით? მოვეწონეთ ბიძიებს ვაშინგტონისა და ბრიუსელის სამხარეო კომიტეტებიდან, რომლებიც ჩვენ გარშემო დგანან და ტაშს გვიკრავენ, როდესაც ხედავენ, როგორ ახტება ერთმანეთს ორი დანით შეიარაღებული მაიმუნი. რაში გვჭირდება ეს? პუტინთან კი სხვა საუბარია. პუტინთან უნდა მივიდეთ და ვუთხრათ: „ძვირფასო მეგობრებო, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, იქნებ, ზავი დავდოთ? მაგრამ ამ ზავს განსაკუთრებით ეშმაკურად დავდებთ: დასავლეთის წინააღმდეგ კოლექტიურ სარჩელს შევიტანთ: რუსეთი და უკრაინა ერთად“,** – განაცხადა ალექსეი არესტოვიჩმა.

# როგორ გაჩნდა ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია?!

**მართალია, ასწლეულების მანძილზე ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციამ უამრავი ცვლილება განიცადა და განსხვავებული ინტერპრეტაციით გავრცელდა მთელ მსოფლიოში, მაგრამ ხალისიანი განწყობა ყველგან ერთნაირად შეინარჩუნა და თანამედროვე სამყაროს ყველაზე ჯადოსნურ დღესასწაულად იქცა, რადგან სკეპტიციზმის მიუხედავად ყველას ერთნაირად სჯერა, რომ სწორედ ახალი წლის ღამეს სრულდება ყველა ოცნება.**



## მესოპოტამია – ახალი წლის სამშობლო

**მეცნიერების მტკიცებით, ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია დაახლოებით 4 ათასი წლის წინ გაჩნდა მესოპოტამიაში, სადაც დღესასწაულის დღეებში ეწყობოდა ღმერთების ქანდაკებების აღლუმი. ადგილობრივები ჯერ ქალაქის ქუჩებში დაატარებდნენ გიგანტურ ფიგურებს, მერე კი, რიტუალურ ბრძოლას მართავდნენ, რომელიც ქაოსის ძალებზე ღმერთების გამარჯვებას და სამყაროს განწმენდას განასახიერებდა.**

მოგვიანებით დღესასწაული უძველეს რომში გავრცელდა, სადაც ახალი წელი ჯერ გაზაფხულზე, მეტწილად მარტის თვეში აღინიშნებოდა, მერე კი, პირველ სექტემბერს გადაინაცვლა, რადგან სწორედ ამ დღეს ირჩევდნენ რომაელები ახალ კონსულს, თუმცა ძველი წელთაღრიცხვით 46 წელს იულიუს კეისარმა ახალი „იულიანური“ კალენდარი შემოიღო და საბოლოოდ განსაზღვრა პირველი იანვარი წლის დასაწყისად. სხვათა შორის, სახელი იანვრის თვემ – არჩევანისა და ყველა საწყისის ღმერთს – ორსახოვანი იანუსის პატივსაცემად შეიძინა, რომელიც ერთი სახით წინ, მეორით კი უკან იყურებოდა და წარსულის მომავალთან უწყვეტ კავშირს განასახიერებდა.

## საახალწლო საჩუქრები – რომაელების აღმოჩენა

**უძველესი ჩანაწერების თანახმად, ახალი წლის დღესასწაულს განსაკუთრებული ხალისით რომაელები აღნიშნავდნენ, რომლებიც უგემრიელესი კერძებით, ღვინით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს და არც მონეტებს იშურებდნენ,** იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსისთვის კი, იძულებით აგროვებდნენ ოქროს მონეტებს სკივრში, რადგან სწორედ მოქალაქეების ხელგაშლილობა განსაზღვრავდა მის კეთილგანწყობას.

## ნაძვის ხის მორთულობა

**ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია მე-16 საუკუნეში გაჩნდა გერმანიაში, სადაც მორთულობა სრულად შეესაბამებოდა ქრისტიანულ სიმბოლიკას – ტოტებზე დაკიდული ვაშლები სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხის ნაყოფს განასახიერებდნენ, სანთლები ანგელოზურ სიწმინდეს ნიშნავდა, ვარსკვლავი კი, ბეთლემის ვარსკვლავის სიმბოლოდ ითვლებოდა.**

ლეგენდის თანახმად, ნაძვის ხის ამგვარი მორთულობა პროტესტანტიზმის ფუძემდებელმა მარტინ ლუთერმა შემოიღო, რომელმაც წარმართთა ტოტემური ხის რელიგიასთან დაახლოება მოინდომა და მრევლს ქრისტიანული სიმბოლოებით სთხოვა მისი გაკეთილშობილება.

## ნაძვის ხის სათამაშოები

**საუკუნეების წინ ნაძვის ხე მეტწილად ნუგბარით – ვაშლით, თაფლაკვერით, თხილითა და კანფეტით ირთვებოდა, შუშის ბურთები და სხვა „სამკაული“ კი, მხოლოდ 100 წლის წინ გაჩნდა გერმანიაში, სავარაუდოდ მოუსავლიანი სეზონის გამო, როცა ვაშლის სიმცირით შეწუხებულმა ბავარიელმა მინამბერებმა დეფიციტური ხილი შუშის მრგვალი ბურთებით ჩაანაცვლეს.**

სხვათა შორის, ყველაზე დიდი საახალწლო ბურთი, რომლის წონამ 1100 კილოგრამი, დიამეტრმა კი – 4,7 მეტრი შეადგინა, 2018 წელს დაიკიდა არაბთა გაერთიანებული საამიროების სავაჭრო ცენტრში The Dubai Mall-ში. გიგანტური ბურთი, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, დიზაინერულმა კომპანიამ Venue Arts-მა დაამზადა, მის აწყობასა და დამონტაჟებაზე კი, 15 კონსტრუქტორი ირჯებოდა მთელი 72 საათი.

გინესის რეკორდსმენი გახდა ყველაზე მაღალი საახალწლო ნაძვის ხეც, რომელიც მექსიკაში დაიდგა 2009 წელს. 35 მეტრის დიამეტრის ნაძვის ხის სიმაღლემ 110, 35 მეტრი შეადგინა, რაც დაახლოებით 40-სართულიანი შენობის სიმაღლეს გაუტოლდა, მის აგებაზე კი, 330 ტონა მეტალის კონსტრუქცია და 80 ათასი მეტრის გირლანდა დაიხარჯა.

## პირველი გირლანდა

**მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ნაძვის ხის გასანათებლად მხოლოდ სანთლები ან კაკლის ნაჭუჭი გამოიყენებოდა ზეთითა და ფითილით, რაც ხანძრის საფრთხეს ქმნიდა და მეტად სარისკო იყო.**

პირველი გირლანდის შემქმნელად ედვარდ ჰიბერდ ჯონსონი ითვლება, რომელმაც წითელ, თეთრ და ლურჯ ქაღალდში შეფუთული ნათურებით გაანათა სადღესასწაულო ნაძვის ხე, ნამდვილი გირლანდა მინიატიურული ნათურებით კი, 1895 წელს გამოიგონა რალფ მორისმა – ახალი ინგლისის სატელეფონო კომპანიის თანამშრომელმა, რომელიც სწორედ კომუტატორის ნათურების ციმციმმა შთააგონა ორიგინალურ გამოგონებაზე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარიამ გელხაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მცხეთა, სოფელი საგურამო (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.063)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 164993.88 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 26 დეკემბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 8 იანვარი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95171023;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 951710

6. **მოვალე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;
შპს „მერქანი“ (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
შპს „ლ&გ“ (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;
მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;
სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა“, ბინა №59.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95171023; ლოტის ნომერი: 951710).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 8 იანვრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარალ ბაქიევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №9 (საკადასტრო კოდი: 83.03.24.198 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 81743.58 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 26 დეკემბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 8 იანვარი, 14:15 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95170523;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 951705

6. **მოვალე:** რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), თეთრიწყარო, ს. წინწყარო;
მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო;
ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95170523; ლოტის ნომერი: 951705).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 8 იანვრის 12:00 საათამდე.



ჩვენი მეკვლე ლეგენდა

# გოლიათი, რომლის ზღვარი რეკორდებზე გადის



**წლეულს საჩხერელმა გოლიათმა, ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებულმა ლაშა ტალახაძემ სასპორტო კოლექცია ერთბაშად ოქროს ექვსი მედლით გაიმდიდრა. ჯერ ერევანში ევროპის ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი. ატაცში 222 კილოგრამით ოქროს მედალი მოიპოვა და ვერცხლის მედალოსან სომეხს – ვარაზდატ ლალაიანს 10 კილოგრამით აჯობა. აკვრაში ტალახაძემ მეორე ცდაზე 252-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, რაც ამ მოძრაობასა და ორჭიდში ევროპის ჩემპიონატების ოქროს მე-7 მედლებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.**

**ბოლო ექვსი წლის განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელსაც საუდის არაბეთმა უმასპინძლა, ქართული ჰიმნით დასრულდა. ლაშა ტალახაძემ სამ ოქროსთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონობაც მეშვიდედ მოიპოვა.**

**სეზონის განმავლობაში მიღწეული გამარჯვებებისთვის სახელოვანი ქართველი ათლეტი ლაშა ტალახაძე საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.**

**– შენ ეს შეგიძლია, მე მჯერა შენი! – ზექზე ხელი დაჰკრა მწვრთნელმა.**

შტანგისთვის მზერა არ მოუცილებია.

ფიცარნაგის კიდესთან პირჯვარი გადაიწერა. მერე გარინდებულ რკინას რომ მიუახლოვდა, რაღაც ჩაიჩურჩულა და თავადაც გაყუჩდა...

წამიც და 225-კილოგრამიანი შტანგა საჩხერელი გოლიათის თავზემოთ გაქვავდა. ეს იყო ფანტასტიკა!

უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტის ფიცარნაგი 2021 წლის 17 დეკემბერს კიდევ ერთი სასწაულის მოწმე გახდა – ლაშა ტალახაძემ მესამე ცდაზე დაუჯერებელი 267 კილოგრამი აკრა და ნებისმიერი სპორტსმენისთვის საოცნებო მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა. თანაც აკვრაში დაძლეული 267 კილოგრამით ლაშამ ყველა დროის რეკორდი აჩვენა – ასეთი წონა ძალოსანმა პირველად დაიმორჩილა! ამ მოძრაობაში მსოფლიოს რეკორდი – 266 კილოგრამი 33 წლის განმავლობაში ბელარუს ლეონიდ ტარანენკოს ეკუთვნოდა.

– ორჭიდის ჯამში 492 კილოგრამი ჩვეულებრივი ადამიანისთვის, მართლაც, წარმოუდგენელი და დაუძლეველი წონაა, მაგრამ არა ლაშა ტალახაძისთვის. მე და ჩემი შეგირდი ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით ქომაგებისთვის მიცემულ პირობას – ორ-სამ წელიწადში ორჭიდში 500-კილოგრამიან ზღვარს გადავლახავთ, – მითხრა ორი წლის წინათ ოლიმპიურმა ჩემპიონმა, საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ასანიძემ.**

რას ფიქრობს თავად დედამიწის უძლიერესი მამაკაცი, ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებული, მსოფლიოს და ევროპის შვიდ-შვიდგზის ჩემპიონი, ათზე მეტი მსოფლიოს და ოლიმპიური რეკორდსმენი ლაშა ტალახაძე, რომელიც ბოლო შვიდი წელიწადია ნებისმიერ შეჯიბრებაზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს არ თმობს?

– ზოგს შტანგა უსულო ჰგონია, ჩემთვის კი ის სულიერია, უნდა მოარჯულო, დამჯერი გახადო, ძალოსანსა და რკინას შორის ჰარმონია უნდა დამყარდეს, უნდა მოგენდოს, რომ მოძრაობისას სასურველ წონაზე წამოგყვეს, თორემ თუ გაგიჯიუტდა, არაფერი გამოვა. ამიტომაც ჩემი ჩვევები მაქვს – უწესრიგობას ვერ ვიტან. ყოველი წვრთნის შემდეგ შტანგას თუ სხვა სავარჯიშო იარაღს ვწმენდ და ისე ვალაგებ...

– **და შტანგა ყოველთვის გიჯერებთ?**

– ყოველთვის არა, მაგრამ უმთავრესად ჰარმონიული ურთიერთობა გვაქვს, ჩემი რეკორდებიც ამის შედეგია.

– **ფიცარნაგზე გასვლის წინ თქვენს წონებს ვინ უკვეთავს?**

– ვარჯიშებისა და ასპარეზობისას წონას მწვრთნელები განსაზღვრავენ, რადგან მათ უკეთ იციან, რა ტაქტიკით იმოქმედონ. შეჯიბრებისას ბევრი რამ უნდა გათვალო და გაითვალისწინო, მარტო საკუთარი შესაძლებლობები არ კმარა. სპორტსმენს კი საამისოდ არ სცალია – იგი ასაწევ წონაზეა ორიენტირებული და კონცენტრირებული. ამიტომ მწვრთნელები განსაზღვრავენ, რომელ ცდაზე რა წონაზე მიხვიდე, როდის უნდა გარისკო.

– **ვფიქრობ, ყველა ადამიანს გააჩნია შესაძლებლობების ზღვარი. თქვენს შემთხვევაში სად გადის იგი?**

– ლაშას შემთხვევაში ზღვარი მსოფლიოს რეკორდებზე გადის, – შეგირდის ნაცვლად მითხრა გიორგი ასანიძემ.

– **2021 წლის ეროვნულ ჩემპიონატში ნაჩვენები თქვენი შედეგები, ცხადია, პლანეტის ყველა კუთხემ შეიტყო. ამერიკული ბატალიების წინ ეს მეტოქეებისთვის გამიზნული ერთგვარი გამოწვევა ხომ არ ყოფილა?**

– მერწმუნეთ, არასდროს არავის არაფერს ვუმტკიცებ. მესმის, რომ ზოგიერთი სპორტსმენი საკუთარი ვარჯიშების და დაძლეული წონების ვიდეომასალებს სპეციალურად ავრცელებს ინტერნეტით, მაგრამ მე ამას ვერიდები, არ მინდა ვინმე გავაღიზიანო. ისე, ცნობისთვის, ზოგიერთზე ამგვარმა ინფორმაციამ, შესაძლოა, დამთრგუნველად იმოქმედოს, ზოგს კი პირიქით – მოტივაცია გაუძლიეროს. ასე რომ, არავინ იცის, ვისთვის რა ჯობია, ყველაფერი ადამიანის ფსიქიკაზეა დამოკიდებული.

მე, მაგალითად, ასეთ რამეებს არც ვუყურებ და, რომც შევიტყო, ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ჩემთვის მეტოქესთან კი არა – რკინასთან გაჯიბრებაა მთავარი.

– **2016 წლიდან მსოფლიოში თქვენი მჯობნი ჯერჯერობით არ გამოჩნდა. თითქმის რვა წლის განმავლობაში მწვერვალზე ყოფნამ ლაშა ტალახაძე ხომ არ შეცვალა?**



– (ეცინება). რაც ვიყავი, ის დავრჩი. თუ შევიცვლები, რწმენას დავკარგავ და ჩემგან არაფერი დარჩება.

– **ორმეტრიან კაცს შტანგის ამ სიმაღლეზე აწევა არ გიჭირს?**

– მართალი გითხრათ, არასდროს დავფიქრებულვარ, ამ სიმაღლეზე შტანგის აწევა მართლა ძნელია თუ არა – უბრალოდ, ვწევ და ეს არის. წონაც ხელს მიწყობს. ჩვეულებრივი სპორტსმენის ცხოვრებით ვცხოვრობ: მწვრთნელების ყველა მითითებას ვასრულებ. არ მიყვარს რეჟიმის დარღვევა, ისედაც მთელი დღე რკინასთან შეჭიდებულს ან რისი თავი უნდა გქონდეს. სამაგიეროდ, გარჯის ნაყოფს რომ იმკი, გიხარია. ყველა ამ სიკეთეს ოჯახური იდილიაც დაემატა და...

– **ყველა ტურნირზე ყოველი ცდისას შტანგასთან მისვლამდე და წონის დაძლევის შემდეგ პირჯვარს იწერ...**

– მორწმუნე ადამიანი ვარ. მწამს და მჯერა, რომ საერთაშორისო ფიცარნაგებზე ჩემს გამარჯვებებში უფლის ნებაც ურევია.

– **თქვენ ზემოთ მოტივაცია ახსენეთ. ბოლო წლებში მსოფლიოს იოლად დაპყრობაში დაქორწინებაც ხომ არ გეხმარებათ?**

– არც უამისობაა, წარმატებებში, ცხადია, მეუღლესაც მიუძღვის უდიდესი წვლილი, სენაკელ ანა დემურიას.

– **ამბობენ, სპორტსმენის ცოლობა ძნელიაო, მართალია? -** ვეკითხები ანას.

– ჩვენ არა მარტო მეუღლეები, არამედ მეგობრებიც ვართ. ვიცი, რამდენს ვარჯიშობს, სულ დატვირთულია, თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება. ყველანაირ სიამოვნებაზე უარს ამბობს. თქვენ წარმოიდგინეთ, ქორწილამდე სამი დღით ადრე ჩამოვიდა საწვრთნელი შეკრებიდან, ქორწილის მესამე დღეს კი ისევ დუშეთში იყო. სხვაგვარად ასეთი წარმატება წარმოუდგენელია. ისიც კარგად მესმის, რომ ლაშა მარტო ოჯახს კი არა, მთელ საქართველოს ეკუთვნის, ამიტომ ყოველნაირად ვცდილობ, ხელი შევუწყო და შტანგაზე დამატებით ტვირთად არ ვექცე. თუმცა თავად არის მომეტებულად მზრუნველი, ამასთანავე, ზედმეტად მორიდებული, ღვთის მოშიში და მოყვარული, რწმენა ძალასა და ენერგიას მატებს. თავისუფალ დროს რომ გამონახავს, უნდა რომ ოჯახთან ერთად იყოს.

– **ოჯახურ საქმეებში თუ გეხმარებათ?**

– ყოველმხრივ ცდილობს. ასე რომ, ტრაბახად თუ არ ჩამითვლით, ლაშა შინაურ საქმეებშიც ჩემპიონია. უფლის მადლობელი ვარ, რომ ასეთი მეუღლე და მეგობარი მარგუნა. ისეთ ოჯახშია აღზრდილი, სხვაგვარი ვერც წარმომიდგენია.

– **ერთხელ ლაშას ვკითხე, დედათქვენი შენს შეჯიბრებებს თუ უყურებს-მეთქი. მისგან ვიცი, ასპარეზობის მსვლელობისას ხატებთან დგას და ლოცულობსო, მითხრა. თქვენ თუ უყურებთ მის გამოსვლებს?**

– ემოციური ვარ და ძალიან განვიცდი ფიცარნაგზე ლაშას ყოველ მოძრაობას.

– **ვიცი, რომ ქართული კერძები – ხინკალი, მწვადი, ხაშლამა უყვარს. მეგრულ მენიუსთან როგორ არის?**

– ელარჯი მოსწონს გამორჩეულად... მეც რომ კარგად გამომდის! ეტყობა, გენების დამსახურებაა.

– **მეგრულს თუ ასწავლით?**

– (იცინის). რაც სჭირდებოდა, ქორწილამდე მოუსწრია...

– **ლაშა, ეს მერამდენედ უკვე წლის საუკეთესო სპორტსმენად დაგასახელეს, ამას წინათ კი სენაკის საპატიო მოქალაქედ აგირჩიეს.**

– ორივე წოდება ჩემთვის დიდი პატივია. უღრმესი მადლობა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მესვეურებს, სენაკელებს. ვეცდები, ნდობა გავამართლო და მომავალშიც ქართველი ქომაგები ახალ-ახალი წარმატებებით გავახარო. ახლა კი ვისარგებლებ შემთხვევით და სრულიად საქართველოს შობა-ახალ წელს მივულოცავ! სულისა და სხეულის სიჯანსაღე, ხვავი და ბარაქა დაგვბედებოდეს აწ და მარადის!

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

სანთელი

# ვინფრიდ ბოედერი საქართველოს დიდი მეგობარი



გარდაიცვალა გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგი, აღიარებული ენათმეცნიერი, საქართველოსა და ქართველების დიდი მეგობარი და გულშემატკივარი, ოლდენბურგის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (2002), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (2009), ბატონი ვინფრიდ ბოედერი.

ვინფრიდ ბოედერი დაიბადა 1937 წელს. ენათმეცნიერების საფუძვლებს ეუფლებოდა ფრაიბურგისა დაჰამბურგის უნივერსიტეტებში. 1967 წელს გახდა ჰამბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. სწორედ ამ წლებში გამოიკვეთა ვინფრიდ ბოედერის, როგორც ქართველოლოგის, ბედი და არჩევანი. იგი ამ დროს შეხვდა ქართველ ემიგრანტს, ომში ტყვედ ჩავარდნილ ქართველს, ნიკოლოზ ჯანელიძეს და მასთან ურთიერთობამ საბოლოოდ განსაზღვრა ბატონი ვინფრიდის სამეცნიერო ინტერესების ძირითადი მიმართულება. მან ღრმად შეისწავლა არა მხოლოდ ძველი და ახალი ქართული, არამედ სხვა ქართველური ენებიც და ქართველოლოგია გაამდიდრა არაერთი პირველხარისხოვანი ნაშრომით.

საქართველო ვინფრიდ ბოედერისთვის, შეიძლება ითქვას, მეორე სამშობლოდ იქცა. იგი ქართველურ სამყაროს შეეთვისა არა მხოლოდ სამეცნიერო ინტერესებით, არამედ მენტალურადაც. სხვადასხვა დროს მისი მასპინძლები და მასწავლებლები თუ სამეცნიერო პარტნიორები იყვნენ აკაკი შანიძე, ალექსანდრე ღლონტი, ტოგო გუდავა, ალექსანდრე ონიანი, გურამ თოფურია, ზურაბ სარჯველაძე, შუქია აფრიდონიძე და სხვანი. თბილისში სტუმრობისას იგი განსაკუთრებულ სითბოს გრძნობდა ვარლამ და გურამ თოფურიებისა და შოთა და ვალერი გაფრინდაშვილების ოჯახებში...

მასპინძლობა და ოჯახური სითბო, შეიძლება ითქვას, ქართულს ტოლს არ უდებდა ოლდენბურგში, ბოედერების სახლში. ვინფრიდ და დორის ბოედერების ბინა რუდიგერ-შტრასეზე, შეიძლება ითქვას, ქართველთა და, უფრო ფართოდ, კავკასიელთა აკადემიური სასტუმრო იყო, სადაც კვირაობით შეეძლოთ ესარგებლათ ჩასულებს არა მხოლოდ ბინით, არამედ დაუზარელი კონსულტაციებითა და მეგზურობითაც. განუზომელი იყო ამ ოჯახის ქველმოქმედება მძიმე 90-იან წლებში, როდესაც ბევრ გაჭირვებულ კოლეგას საქართველოში თავის გადასარჩენად კონვერტითაც კი უგზავნიდნენ მაშინდელ გერმანულ ვალუტას. მეტიც, ბოედერები დღემდე ეხმარებიან ერთ-ერთ საბავშვო სახლს საქართველოში...

დიახ, მისი ერთგულება განსაცდელების დროს ყოველთვის ჩანდა. თუნდაც რად ღირს ის, რომ იგი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ორიოდ თვეში, უმძიმეს პირობებში ჩამოვიდა აკადემიის მიერ ორგანიზებულ კონგრესზე და სრულიად განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით დაბრუნდა უკან, როდესაც საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ გადმოლახეს სამთო გზები, ჩაკეტილი საზღვრის მიუხედავად, ჩრდილოკავკასიელმა კოლეგებმა და ამით, კონგრესის სამეცნიერო მუშაობაში მონაწილეობის გარდა, მორალური თანადგომა გამოუცხადეს ჭრილობებმოუშუშებელ მოძმე ქართველ ხალხს.

ვინფრიდ ბოედერი გახლდათ უმაღლესი კლასის ლინგვისტი-მკვლევარი, მისი ყოველი ახალი სამეცნიერო ძიებაც ეტაპის შემქმნელი იყო ქართველური ენობრივი სამყაროს შესწავლაში. მისი ნაშრომები ქართული დამწერლობის, ძველი ქართული განკვეთილობის ნიშნების, დაქარაგმების წესების, ძველი და ახალი ქართულის სტრუქტურული ბუნების, სინტაგმატიკის, სვანურის გრამატიკული წყობის, ხევსურულის სპეციფიკური ნაწილაკების, ანდაზების ენობრივი თავისებურებებისა და სხვათა შესახებ სამუდამოდ იმკვიდრებენ ადგილს ქართველოლოგიის უკვდავ საგანძურში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, საბედნიეროდ, მეცნიერის სიცოცხლეშივე გამოსცა მისი (თანაავტორობით) ფუნდამენტური შრომა (ქართული ვერსია), რომლის გამოსვლასაც იგი ესოდენ მოუთმენლად ელოდებოდა.

ვინფრიდ ბოედერის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართველოლოგიის ისტორიაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## სახლებს და ძვირად ღირებულ მანქანებს ძარცვავდნენ...

**საბერძნეთში ქურდობისთვის 32 და 37 წლის ქართველები დააკავეს. საქმის მასალებით დადგინდა, რომ დაკავებულები 2019 წლიდან 2023 წლამდე, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მდიდრულ სახლებსა და ძვირად ღირებულ მანქანებს ძარცვავდნენ.**

ბერძნული მედიის ცნობით, მათზე საერთო ჯამში 9 დაკავების ორდერი იყო გაცემული.

**„მათი დაკავებისთვის მოეწყო წარმატებული ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ჰერაკლიონის უსაფრთხოების ქვედირექციის, ჰერაკლიონის პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტისა და ჰერაკლიონის სასწრაფო სამოქმედო დეპარტამენტის პოლიციელები. ორივე კაცი პარასკევს, 22 დეკემბერს მანქანაში დააფიქსირეს და გააჩერეს. კონტროლის დროს დადგინდა, რომ მათ თან ყალბი პასპორტები ჰქონდათ“**, – წერია პოლიციის განცხადებაში.

## ლონდონში ბენქსის ახალი ნამუშევარი მოიპარეს

**ლონდონის სამხრეთით ბენქსის ახალი ნამუშევარი გამოჩნდა, რომელიც მალევე მოიპარეს. არტ-ობიექტი ერთი საათის განმავლობაში მოიპარეს, მას შემდეგ რაც ანონიმმა არტისტმა მისი ავტორობა სოცქსელებში დაადასტურა.**

ბენქსის ნამუშევარი საგზაო ნიშანს წარმოადგენს, რომელზეც წარწერა Stop („შეჩერდით“) და სამი სამხედრო უპილოტო აპარატია გამოსახული. სოციალურ ქსელებში ძარცვის ამსახველი ვიდეოც გამოჩნდა, რომელიც თვითმხილველებმა გადაიღეს. კადრებზე ორი კაცი ჩანს, რომლებსაც ნიშანი მიაქვთ. ლონდონის პოლიციამ მომხდართან დაკავშირებით ორი პირი უკვე დააკავა. ბენქსი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტრიტ-არტ მხატვარია. მისი ვინაობის დადგენას ათწლეულების განმავლობაში ცდილობენ. ყველაზე გავრცელებული ინფორმაციით, მისი ნამდვილი სახელი რობინ განინგემია. ამ ვერსია ტაბლოიდმა Mail on Sunday გააჟღერა. მოგვიანებით ის დედოფალ მერის ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გეოგრაფიული პროფილირების კვლევით დაადასტურებს.




სხვა ვერსიის მიხედვით, ბენქსი ჯგუფ Massive Attack-ის ერთ-ერთ დამფუძნებელი რობერტ დელ ნაიაა. ამ თეორიის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ბენქსის ნამუშევრები ხშირად ჩნდება იქ, სადაც ჯგუფის კონცერტები იმართება. ამასთან, ცნობილია, რომ დელ ნაია ახალგაზრდობაში გრაფიტით იყო გატაცებული. თავად მუსიკოსი ამბობდა, რომ ბენქსი მისი ახლო მეგობარია. ნოემბერში BBC-ს ჟურნალისტმა ბენქსის ინტერვიუს დაკარგული ფრაგმენტი აღმოაჩინა, რომელშიც არტისტი საკუთარ სახელს აჟღერებს.

## უდანაშაულოდ ციხეში გატარებული ნახევარი საუკუნე

**აშშ-ში, ოკლაჰომას შტატის სასამართლომ გაამართლა 71 წლის გლინ სიმონსი, რომელმაც მკვლელობის საქმეზე ციხეში 48 წელი გაატარა. სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელობა, რომელშიც დამნაშავედ სიმონსი ცნეს, სხვა ადამიანმა ჩაიდინა. ეს აშშ-ში ცრუ ბრალდებით ადამიანის პატიმრობაში ყოფნის ყველაზე ხანგრძლივი შემთხვევა გახდა.**

შემთხვევა 1975 წელს მოხდა. 22 წლის სიმონსი კაროლინ სიუ როჯერსის მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ, რომელიც ქალაქ ედმონტში ღვინის მაღაზიის ძარცვისას მოხდა. ქალმა, რომელიც ამ ძარცვის დროს დაიჭრა, სიმონსის ამოცნობა შეძლო, თუმცა მოგვიანებით მისი ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავი გახდა.



სიმონსი ბრალს არასოდეს აღიარებდა და ამტკიცებდა, რომ მკვლელობის დროს ლუიზიანაში იმყოფებოდა. ამის მიუხედავად მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა 1977 წელს განაჩენი სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობამდე შეუმსუბუქეს. ახლა მას უფლება აქვს ოკლაჰომას შტატისგან ფინანსური კომპენსაცია მოითხოვოს, 175 ათასი დოლარის ოდენობით.

## ევროპის შუაგულში ტერორისტებს იჭერენ




ავსტრიაში, ესპანეთსა და გერმანიაში ისლამისტები დააკავეს, რომლებსაც ბრალად შობა-ახალ წელს ტერაქტების დაგეგმვა ედებათ ბრალად.

**„ავსტრიის, გერმანიისა და ესპანეთის უსაფრთხოების ორგანოებმა მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფება შესაძლოა გეგმავდა რამდენიმე თავდასხმას ევროპაში ახალი წლის ღამეს ან შობას. სამიზნე შეიძლება იყოს საშობაო მსახურება კიოლნში, ვენაში და მადრიდში“**, – ნათქვამია შეტყობინებაში. ეჭვმიტანილები ვენაში და გერმანიაში შაბათს საღამოს დააკავეს. როგორც გამოცემა აღნიშნავს, გერმანიაში ისლამისტებს შეეძლოთ ახალი წლის ღამეს კიოლნის ტაძარზე თავდასხმა დაეგეგმათ. ამის გათვალისწინებით, სამართალდამცავებმა შაბათს საკათედრო ტაძარი გაჩხრიკეს, რათა შენობაში საშიში ნივთები არ ყოფილიყო. გამოიყენეს ასაფეთქებელი ნივთიერების აღმომჩენი ძაღლები. კვირას დილით გამოცხადდა, რომ ტაძარში ასაფეთქებელი ნივთიერება არ აღმოჩნდა.

**„კიოლნის საკათედრო ტაძარზე საფრთხის შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებით, კიოლნის პოლიცია მიიღებს უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს. პოლიცია ამჟამინდელი დასკვნების დეტალებზე კომენტარს არ გააკეთებს პოლიციის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოძიების გამო.“** – განაცხადა კიოლნის პოლიციის წარმომადგენელმა.

## ბინაში 5 ადამიანის ცხედარია ნაპოვნი...

**საფრანგეთის პროკურატურამ სამშაბათს განაცხადა, რომ შობის დღეს პარიზთან ახლოს მდებარე ბინაში ხუთი ცხედარი იპოვეს.**

შემთხვევა ქალაქ მეოსში მოხდა, დაახლოებით 40 კილომეტრში პარიზის ცენტრიდან აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ ილ-დე-ფრანსის რეგიონში. ადგილობრივი მედიის ცნობით, მსხვერპლი ქალი და მისი ოთხი მცირეწლოვანი შვილია. საინფორმაციო ვებსაიტის Actu17-ის ცნობით, რომელმაც პირველად გაავრცელა ინფორმაცია, პოლიცია ეძებს 33 წლის მამას, რომელიც „გაქცეულია“.

## აბრამოვიჩმა სასამართლო წააგო

**რუსმა მილიარდერმა რომან აბრამოვიჩმა ევროკავშირის სანქციების გაუქმებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი წააგო.**

მას შემდეგ, რაც 2022 წლის თებერვალში ვლადიმირ პუტინის დავალებით რუსული არმია უკრაინაში შეიჭრა, ევროკავშირმა რუსი მაღალჩინოსნების, მათი ოჯახის წევრებისა და ბიზნესმენების წინააღმდეგ სანქციები მიიღო. აბრამოვიჩის მსგავსად, რუსი ბიზნესმენების რამდენიმემილიონიანი აქტივები გაიყინა. აბრამოვიჩმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სასამართლომ ბრიუსელში სარჩელი არ დააკმაყოფილა, ასევე არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნები კომპენსაციასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნა მისი როლი ფოლადის კომპანია Edhfp-ში და მიუთითა, რომ ფოლადი რუსეთის მთავრობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. აბრამოვიჩი, რომელიც ისრაელის მოქალაქეობასაც ფლობს და საფეხბურთო გუნდ „ჩელსის“ ყოფილი მფლობელია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ბიზნესმენად იქცა. Forbes მის ქონებას $9,2 მილიარდად აფასებს. განცხადებაში, რომელიც მისი სახელით გამოქვეყნდა, აბრამოვიჩი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებით იმედგაცრუებულია. მისი თქმით, სასამართლომ არ გაითვალისწინა საბჭოს მიერ გამოყენებული ზოგიერთი არგუმენტი, მათ შორის წინადადება იმის შესახებ, რომ აბრამოვიჩმა რუსეთის მთავრობისგან სარგებელი მიიღო – რაც მისი თქმით, მცდარია.

# ქრისტიანული საგანძურის დარბაზში იხილეთ ხახულის კარედი, ანჩისხატი, აწყურის ღვთისმშობლის ხატი...



**მინდა, ყველას მოგესალმოთ და მოგილოცოთ მართლაც ყველასთვის მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, დღეს ჩვენ გავხსენით საქართველოს ოქროს ფონდის ქრისტიანობის საგანძურის დარბაზი, დღეიდან ჩვენი თანამოქალაქეები და უცხოელი სტუმრები კვლავ იხილავენ ისეთ შედევრებს, როგორიც არის ხახულის კარედი, ანჩისხატი, აწყურის ღვთისმშობლის ხატი,** – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ქრისტიანული საგანძურის დარბაზის გახსნაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, შუა საუკუნეების ქართველი ოსტატების მიერ მოწინავე ტექნოლოგიებით, ცოდნით და უზადო გემოვნებით შექმნილი ქრისტიანული საგანძური ასწლეულების განმავლობაში იქმნებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

**ეს შედევრები ადასტურებენ საქართველოში ქრისტიანული ხელოვნების, ტრადიციების უწყვეტობას და კავშირს ანტიკურ ტრადიციებთან. სწორედ ჩვენი ქვეყნის მჭიდრო კონტაქტებმა ანტიკურ სამყაროსთან, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ადგილი ქრისტიანულ სამყაროში და ევროპული განვითარების გზა. შუა საუკუნეების საქართველოს, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ქვეყნის ისტორია აისახა მის ხელოვნებაში, რომელიც საკაცობრიო ტენდენციებთან ერთად, თვითმყოფად ეროვნულ ტრადიციებს ინარჩუნებს. საგანძურში წარმოდგენილ თითოეულ ხელოვნების ნიმუშს საკუთარი ისტორია აქვს, საუკუნეების განმავლობაში ისინი ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა. მოგვიანებით კი, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, მუზეუმებში იქნა გადატანილი. ქართველმა მეცნიერებმა კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც შეძლეს თავიანთი უანგარო შრომისა და ხშირად თავგანწირვის შედეგად ამ უნიკალური განძის, გადარჩენა და მომავალი თაობისთვის შენარჩუნება. საგანძურის კვლევა და დაცვა დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი და სხვანი.**

მთავრობის მეთაურის განცხადებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი.

**„განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი. მოგეხსენებათ კარგად, რომ მან 25 წლის განმავლობაში, ემიგრაციის ურთულეს პირობებში, უპატრონა ჩვენი ქვეყნის ამ საგანძურს. ამ უდიდესი ღვაწლის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის დედაეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა.**

**დღევანდელი ღონისძიება, როგორც უკვე მოგვახსენა მუზეუმის დირექტორმა, ეძღვნება ჩვენი ძვირფასი პატრიარქის აღსაყდრებიდან 46-ე და დაბადებიდან 90-ე წლის იუბილეს. საყოველთაოდ ცნობილია მისი უწმინდესობის განსაკუთრებული დამოკიდებულება წარსულისა და ცოდნისადმი. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა ოქროს ფონდის საცავების განახლებაში, მუზეუმის დირექტორს, ბატონ დავით ორთქმანიძეს, ბატონ ნიკას, მეუფე ვახტანგს, მამა კირიონს, ჩვენს ეკლესიას, საპატრიარქოს, ქალბატონ თეას და ყველას. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, ყველას, ვინც ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში შეიტანა წვლილი. კიდევ ერთხელ ვულოცავ საზოგადოებას ამ მნიშვნელოვან მოვლენას, ქრისტიანული ხელოვნების დარბაზის გახსნას“!..**

## ნინი აირისი:
## მე ამერიკელი არ ვარ, მე ქართველი ვარ...



„იმედის კვირა“ ნინი ბრეგვაძეს, შეხვდა, რომელიც ამერიკული Voice-ში მონაწილეობდა. მომღერალი, რომელსაც შოუს მაყურებელი ნინი აირისის სახელით იცნობს, ტოპ 12-ში მოხვდა. ნინიმ კონკურსში მონაწილეობა გაიხსენა, საკუთარ გეგმებზე ისაუბრა და ქართველ გულშემატკივრებს მიმართა.

**„ჩემი ოცნება არის ალბათ „გრემის“ აღება. მე ამერიკელი არ ვარ, მე ქართველი ვარ. პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ამხელა სითბოსთვის და სიყვარულისთვის. მე არ გავჩერდები. გპირდებით, რომ უფრო მეტად შევეცდები, ჩვენი ქვეყანა ვასახელო. ძალიან, ძალიან მიყვარხართ. მინდა რომ საოცარი წელი გქონდეთ ყველას. იმედია, ძალიან მალე შევხვდებით ერთმანეთს“,** – ამბობს ნინი.

## მთვრალი სანტა კლაუსი

**გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში პოლიციამ მთვრალი სანტა კლაუსი დააკავა.** სამართალდამცველების ინფორმაციით, სანტა კლაუსმა მართვის კონტროლი დაკარგა და სახლის ფასადსა და გაჩერებულ ავტომობილს დაეჯახა.

**„სახლის ფასადი სერიოზულად დაზიანდა, სანტა კლაუსის საშობაო საჩუქრები არ დაზიანებულა“,** – აცხადებენ პოლიციაში. პოლიციის ინფორმაციით, სანტა კლაუსს მართვის მოწმობა ჩამოართვეს და გამოძიება ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის ფაქტზე დაიწყო, თუმცა სანტა კლაუსი აცხადებს, რომ საჩუქრებს უახლოეს მომავალში დაარიგებს.



## მართლმადიდებელი უკრაინა კათოლიციზმის რელსებზე გადავიდა

**უკრაინაში პირველად ქრისტეს შობა, 7 იანვრის ნაცვლად, 25 დეკემბერს აღნიშნეს. შესაბამისი გადაწყვეტილება კიევში მიმდინარე წლის ივლისში მიიღეს. მოტივი უკრაინაში რუსეთის ისტორიული გავლენის წაშლის მცდელობაა. საშობაო მიმართვა ღამით უკრაინის პრეზიდენტმა გაავრცელა.** მისი თქმით, ეს უკვე მეორე განსხვავებული შობაა უკრაინისთვის ომის დროს, ხოლო ოჯახური ვახშამი შობის დროს აღარაა ისეთი, როგორიც იყო, რადგან ყველა არ იმყოფება საკუთარ ოჯახში ან არა აქვს სახლი.



**„ჩვენ ვლოცულობთ ომის დასრულებისთვის, ვლოცულობთ გამარჯვებისთვის. საბოლოოდ, სიბნელე და ბოროტება დამარცხდება. დღევანდელი ჩვენი მიზანიც ესაა, ჩვენი საერთო სურვილი და დღევანდელი ჩვენი საერთო ლოცვაც ეს არის, ჩვენი თავისუფლებისთვის, გამარჯვებისთვის, უკრაინისთვის. იმ დღეს, როდესაც ჩვენ ყველანი შევძლებთ სახლში შეკრებას მშვიდობიანი შობის, მშვიდობიანი წლისთვის და ყველანი ვეტყვით ერთმანეთს – ქრისტე იშვა“,** – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

## ბატებმა რომი იხსნეს და ციხეს ვერ უღალატებენ?



**ბრაზილიაში, სანტა-კატარინას ციხეში ძაღლები, რომლებიც ტერიტორიას იცავდნენ, ბატებით ჩაანაცვლეს.**

ფრინველები ციხის შიდა ღობესა და გარე კედელს შორის დაასახლეს. ციხის თანამშრომლები ამბობენ, რომ ბატები ძალიან ყურადღებიანები არიან და კარგი სმენით გამოირჩევიან, რის გამოც მშვენიერი დარაჯები არიან. ამასთან, ისინი ძალიან ხმამაღალ ხმებს გამოსცემენ და თუ პატიმრები გაქცევას გადაწყვეტენ, ეს ფრინველებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩება. ციხის ხელმძღვანელი მარკოს დე სოუზა აცხადებს, რომ ბატებს კიდევ ერთი უპირატესობა აქვთ – მათი შენახვა ძაღლების შენახვაზე იაფია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 28 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6908; ევრო - 2.9645;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4162;
100 რუბლი - 2.9143; თურქული ლირა - 0.0919;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5836;
1000 სომხური დრამი - 6.6529

**ამინდი 27 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე +9 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +13 |
| თბილისი: | ღამე | +1, | დღე +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge